მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვლილი თითქმის 80-წლიანი პერიოდი სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეკოლოგიურ პრობლემატიკაში მოღვაწე მკვლევარებისა და ექსპერტებისათვის უპრეცედენტოდ ფართო ასპარეზს წარმოადგენს. გასული საუკუნის 1950-ანი წლებიდან დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ამ პერიოდის მრავალმხრივი გაცნობიერება და ანალიზი, რომელიც რეგულარულად ივსება დაგეგმილი და სპონტანური მოვლენებითა და პროცესებით, ახლებური ხედვებითა და შეფასებებით, განვითარების მრავალრიცხოვანი პროგნოზებითა და სცენარებით, ახალი საარქივო მასალებით.

საბაზრო ეკონომიკის სისტემური კრიზისი, ნეონდუსტრიული ეპოქის თავისებურებები, განვითარების „წყვეტადი“ ხასიათი, ადამიანთა და სახელმწიფოთა ურთიერთობებში დაუფარავი

პრაგმატიზმის დამკვიდრება ცალკე აღებული ადამიანისა და საზოგადოებრივ ცნობიერებას, სიახლეებთან უალტერნატივო ადაპტაციის უნარს ურთულეს გამოცდას უწყობენ, აყალიბებენ მოქმედებებისა და პრაქტიკული საქმიანობის წინანდელთან შედარებით გაცილებით აჩქარებულ და თვისობრივად განსხვავებულ რეჟიმებსა და პირობებს, გლობალური განვითარების ახალ პარადიგმას (თალაკვაძე, 2020:24).

ძირითადი ნაწილი

2019-2021 წლებში და გარკვეული ხარისხით დღესაც (თუმცა „მიღევად“ რეჟიმში), მსოფლიოს ყურადღება კონცენტრირებულია პანდემია კოვიდ-19-ის და მისი შედეგების თემაზე, რომელიც, როგორც ჩანს ერთ-ერთი მორიგი (და არა ყველაზე მწვავე) ეპიდემიაა კაცობრიობის დაკვირვებად ისტორიაში. მიუხედავად მისი გლობალურ რეალიებზე, მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნისა და 8 მილიარდს მიღწეული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაზე უპრეცედენტო ნეგატიური გავლენისა, რჩება შთაბეჭდილება და გონიერი ეჭვი, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, მოხდა ამ თემის ჰიპერბოლიზაცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გლობალური პროცესების და მოვლენების შენიღბვის მიზნით.

რა პროცესებზეა საუბარი?

- საბაზრო სისტემის უპრეცედენტო კრიზისი და სავარაუდოდ, მისი არსებობის დასკვნით ფაზაში შესვლა.

- დერივატივების და სახელმწიფოთა ურთიერთვალდებულებების მოცულობის გლობალურ მშპ-თან შედარებით თითქმის 2,5-ჯერადი ზრდა.

- შეუქცევადი ეკოლოგიური და კლიმატური პროცესები.

- გლობალურ მშპ-ში რეალური წარმოებისა და მომსახურების სფეროების თანაფარდობის კრიტიკულ ზღვართან სწრაფვის ტენდენცია.

- მთავარი საერთაშორისო სტრუქტურების უუნარობა ძირითად მასშტაბურ პროცესებზე გავლენის მოხდენისა.

- ახალი, მძლავრი ტრანსნაციონალური კონგლომერატების გაჩენა, გაძლიერება და გლობალური განვითარების ტენდენციების ფორმირებაზე მათი მხრიდან არსებითი გავლენის მოხდენა (FAGMA, IC&V, ისტორიულად ჩამოყალიბებული საფინანსო-ინდუსტრიული კლანების გაერთიანებები და სხვ.).

- დაუფარავი პრაგმატიზმის და მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული მსოფლხედვის უალტერნატივო გაბატონება.

- „განვითარების პარადოქსის“ გამოვლენა ცხოვრების უმეტეს სფეროებში (ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანო-ტექნოლოგიები და სხვ.).

- მსოფლიოს მოსახლეობის „ბიოლოგიურ პოპულაციად“ ტრანსფორმაციის პროცესის საწყისი სტადიის ფორმირება.

- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კლასიკური სისტემების საწინააღმდეგო შინაარსის მქონე „მართვადი ადამიანის“ თეორიების მომძლავრება და ა.შ (თალაკვაძე, 2022; ჭითანავა, 2018:68).

ძალზე საყურადღებოა ტენდენციებიც, რომლითაც ხასიათდება სტრატეგიულად და არსობრივად დიამეტრულად საწინააღმდეგო აქტორების (მაგალითად, ჩინეთი და ტრანსნაციონალური კორპორაციები გამოდგება) ერთობლივ და ერთმანეთის მსგავსი სამოქმედო გეგმები. ვგულისხმობთ გავლენების რესურსების თემას და მის ინტენსიურ განვითარებას.

განსაკუთრებული პროცესები განვითარდა XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში: მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ თვისობრივად ახალი ბიძგი მისცა გლობალურ ტექნოლოგიურ პროგრესს.

გაჩნდა სრულიად რეალური შესაძლებლობები ადამიანთა საცხოვრებელ პირობებზე არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებით, არამედ ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით შექმნილი მაღალი ტექნოლოგიებით ზემოქმედებისა. უფრო მეტიც: დღევანდელმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ადამიანთა ქცევის

ალგორითმების ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენის და მისი გარკვეული ინტერესების რეალიზაციას დაქვემდებარებულ ჩარჩოებში მოქცევის რეალური შესაძლებლობაც გააჩინა.

განვითარების მიმდინარე ეტაპზე, რომელსაც „პოსტინდუსტრიულ“ ეტაპს უწოდებენ (თუმცა ის, ჩვენი აზრით, უფრო „ნეოინდუსტრიული“ შინაარსის მატარებელია), სულ უფრო მძლავრად და საშიში აგრესიულობით მიდის მუშაობა ადამიანთა სურვილების და მისწრაფებების ფორმირებაზე „გარედან“ გავლენის მოხდენაზე.

ასეთი პარადიგმა კი, მომავალში მისი რეალიზაციის შემთხვევაში, მაღალი ალბათობით, კარდინალურად შეცვლის კაცობრიობის განვითარების ვექტორს, რომელმაც მკაფიოდ გამოხატული ანიზოტროპიული ხასიათი უკვე მიიღო, რაც ახალი კონფლიქტების, სეგრეგაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების კრახის მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება და ძალისხმევაა საჭირო ყოველი ქვეყნისათვის მხოლოდ მისთვის გამოსადეგი განვითარების მაქსიმალურად კონკრეტიზირებულ მოქმედებათა პროგრამის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციისათვის (თალაკვაძე, 2021:34; ჭითანავა, 2018:81).

ასეთი პროგრამების საკვანძო საკითხია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფელი ინტეგრალური რესურსების მართვისა და გამოყენების ოპტიმალური სქემებისა და რეჟიმების შემუშავება.

დღეს მსოფლიოში 253 ქვეყანაა, მათ შორის გაეროს წევრია 198, ნაწილობრივ აღიარებული - 32, არ არაღიარებული - 23. ყოველი მათგანისათვის, განურჩევლად მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის, პოლიტიკური წყობის - ძირითად პრიორიტეტებს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

წარმატებას ის ქვეყნები მიაღწევენ, რომლებიც შეძლებენ თავისი მიზნებისა და

სურვილების და საკუთარ შესაძლებლობათა და უნარების დაბალანსებას, ანუ მდგრადი განვითარებისათვის პირობების ჩამოყალიბებას, რაც ბევრად არის დამოკიდებულია მათი ინტეგრალური რესურსების სტრუქტურასა და მახასიათებლებზე.

როგორი ვითარებაა ჩამოყალიბებული ამ მხრივ საქართველოში?

2022 წელს მიღწეული ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მკაფიოდ გამოხატული გაუმჯობესების მიუხედავად და პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის თემისგან დისტანცირების შემთხვევაშიც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობას სტაბილურს ვერ ვუწოდებთ.

ჩინეთის, რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის მიერ განხორციელებული მოქმედებებით, 2015-2020 წლებში საქართველომ არა მხოლოდ დაკარგა (იმედია, დროებით) სატრანსპორტო დერეფნის და ენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია, რაც თავისთავად მის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ რესურსებს ძალზე ამცირებს, არამედ მისმა საინვესტიციო მიმზიდველობამაც სერიოზული დანაკლისი განიცადა (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	სულ	წელი	სულ
1996	3,8	2009	666,8
1997	242,6	2010	865,6
1998	265,3	2011	1 134,0
1999	82,2	2012	1 048,2
2000	131,2	2013	1 039,2
2001	109,8	2014	1 837,0
2002	160,2	2015	1 728,8
2003	334,6	2016	1 654,0
2004	492,3	2017	1 990,5
2005	452,8	2018	1 351,5
2006	1 171,2	2019	1 352,2
2007	1 764,7	2020	589,8
2008	1 575,2	2021	1 241,8

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საქართველო აღმოჩნდა ერთგვარ გეოპოლიტიკურ ჩიხში, რასაც შეეძლო გამოეწვია მისი ზოგადი განვითარების ჩიხშიც შესვლა. 2022 წლის ზაფხულიდან ვითარება საქართველოსთვის სასიკეთოდ იცვლება. ამ დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების არატრივიალური, ოპერატიული და ქმედითი ნაბიჯები ინტეგრალური რესურსების მართვის სრულყოფისა და, განსაკუთრებით, საკუთარი გოსტრატეგიული რესურსების ეფექტიანად, ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ამავე დროს - არსებული მდგომარეობიდან მკვეთრი შემობრუნება სამრეწველო დარგების აღორძინებისა და საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურის გამრავალფეროვნებისკენ და, რაც მთავარია, მისი მოცულობის არსებითი ზრდის მიღწევით გვესახება (თალაკვაძე, 2021).

ეს ამოცანა სავსებით რეალიზებადია, მაგრამ არა მხოლოდ ცალკეული დარგებისა და ეკონომიკური მიმართულებების განვითარების პროგრამების შემუშავების გზით, არამედ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სრულყოფილი და თანამედროვე გლობალური პროცესების გამათვალისწინებელი კონცეფციისა და სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებისა და ეტაპობრივი რეალიზაციის საფუძველზე (ჭითანავა, 2018:23).

კიდევ ერთხელ გვსურს გავიმეოროთ, რომ დამაიმედებელი ტენდენციები, განსაკუთრებით მიმდინარე წლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით, სახეზეა. მთავრობამ მიაღწია კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. ამჟამად მთავარია ამ პროცესის მდგრადობის შენარჩუნება, გაძლიერება და ახალი ინიციატივებითა და რეალური ეკონომიკური მიღწევებით მისი გამაგრება. ამის რამდენიმე საშუალება არსებობს.

საქართველოს შეუძლია ტრანსფორმირდეს უპრეცედენტო ინოვაციურ პოლიგონად, პირდაპირი მსხვილი ინვესტიციების,

პრინციპულად ახალი ეკონომიკური რეჟიმებისა და საერთაშორისო და სუვერენული გარანტიებით უზრუნველყოფილი პროექტების კომპლექსური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის სივრცედ, ანუ საქართველოს ინტეგრალური რესურსების ნეოინდუსტრიული პარადიგმის ადექვატურ სადემონსტრაციო და სარეალიზაციო სახელმწიფოდ (თალაკვაძე, 2020; თალაკვაძე, 2022).

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი პერიოდი, განსაკუთრებით კი 1991-2012 წლები, შეიძლება შეფასდეს მაღალი ეროვნული პოტენციალის არასაკმარისად გამოყენების ხანად, რამაც ქვეყნის ეკონომიკის დეგრადაცია, საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დროებითი დაკარგვა, მოსახლეობის თითქმის მესამედით შემცირება გამოიწვია.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განადგურდა მრავალი სამრეწველო ობიექტი და დარგი, ფაქტობრივად შეწყდა ადგილობრივი სანედლეულო ბაზის შესწავლა და კომპლექსური ათვისება, არარაციონალურად გამოიყენებოდა საექსპორტო პოტენციალი, არასისტემური ხასიათი მიიღო უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ. ბოლო ათწლეულში მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად (შეწყდა მოსახლეობასა და ბიზნესზე უსამართლო და ძალადობრივი ზემოქმედება, აღმავალი ხასიათი მიიღო ევროკავშირთან და რიგ საკვანძო ქვეყნებთან, პირველ ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებმა), ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკუთარ რესურსულ პოტენციალზე დაფუძნებული კომპლექსური სამოქმედო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკის მდგრად განვითარებას, უმთავრესი ეკონომიკური პარამეტრების სასურველი სამიზნე მაჩვენებლების ჩამოყალიბებას, ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავებას, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას (Reinert, 2017:16).

განვითარების ასეთი პროგრამის

შემუშავებისა და წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ქვეყნის ინტეგრალური რესურსული პოტენციალის (ბუნებრივი, ადამიანური, კომუნიკაციური, საინფორმაციო, ისტორიულ-კულტურული, საინვესტიციო, გეოსტრატეგიული და სხვ.) ოპტიმალური გამოყენება (თალაკვაძე, 2021; თალაკვაძე, 2022).

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები მიმდინარეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კერძოდ ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა აღნიშნული ცენტრის მიერ მომზადებულ კაპიტალურ ნაშრომებში, მათ შორის ორტომეულში - „საქართველოს ბუნებრივი


რესურსები“ (2015 წ.) და შემუშავების დასკვნით ეტაპზე მყოფ კრებულში „საქართველოს რესურსები: გამოწვევები, პერსპექტივები“.

საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ მკაფიოდ გამოკვეთა მნიშვნელოვანი ამოცანა - საქართველოს ინტეგრალური რესურსული პოტენციალის დაზუსტება და ანალიზი, რაც საფუძვლად დაედება მისი მაღალეფექტიანი გამოყენებისა და მართვის სრულყოფილი სისტემის შექმნას.

საქართველოს ინტეგრალურ რესურსებთან დაკავშირებულია 2022-2012 წლებში გამოქვეყნებული და სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებზე წარმოდგენილი ნაშრომები და პრეზენტაციებიც. თუმცა, ალბათ მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გადავხედოთ ინტეგრალური რესურსების სტრუქტურას (იხ. ნახ.1):

ნახაზი 1

ინტეგრალური რესურსების სტრუქტურა



გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური ავანტურიზმის, ალოგიკური და საშიში სამხედრო მოქმედებებისა და უპასუხისმგებლო პოლიტიკური შანტაჟის ნაზავმა, რითაც მიმდინარე ისტორიული

ეტაპი გამოირჩევა, შესაძლოა გადაულახავი ჯებირები შექმნას ბუნებრივად ჩამოყალიბებულ გლობალური პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრისას (თალაკვაძე, 2022).

დასკვნა

საქართველო საბოლოოდ და სრულად უნდა ჩამოსცილდეს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრიორიტეტების დაფიქსირებასთან დაკავშირებული იმპულსური მოქმედებების სივრცეს და გადაინაცვლოს მკაფიო ორიენტაციებისა და შედეგიანი, არაორაზროვანი მოქმედებების სივრცეში.

ხელშესახები საყოველთაო აღიარების პოტენციალის მქონე პოზიტიური შედეგების მიღწევა, სადღესოდ ჩამოყალიბებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია შემდეგი სფეროებში და შემდეგი რესურსების ბაზაზე:

პირველი: გეოსტრატეგიული რესურსი, რომლის ძირითადი მდგენელია პოლიტიკურად ნაკლებ პრობლემური და ეკონომიკურად მაღალ რენტაბელური კომუნიკატორის (და არა „დერეფნის“ და „ხიდის“) ფუნქციის დაუფლება, შესრულება და განვითარება.

მეორე: პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების რესურსებისა და ნების მქონე ქვეყნად აღიარება, რაც მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოპოვების უმთავრესი ფაქტორია, რის გარეშეც პრაქტიკულად გამორიცხულია ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

მესამე: „ნეონდუსტრიული“ ეპოქის, რომლის საწყისს ეტაპზე ვიმყოფებით, გამოწვევების გადამწყვეტი წინმსწრები ინიციატივებისა და მაღალ ეფექტიანი პროექტების ოპერატიული შემუშავება და რეალიზება (ინტეგრალური რესურსების პოტენციალის სრულფასოვანი გამოყენება, ქვეყნის საპროექტო მართვის სისტემის შემუშავება და ამოქმედება, ენერგეტიკული, სასურსათო, ეკოლოგიური და სხვა გლობალური და რეგიონული მასშტაბის პრობლემათა გადაწყვეტაში მონაწილეობა.

დაბოლოს: „განვითარების უნივერსალური პროცესის“ დამკვიდრებასთან ერთდროულად,

სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის - „ჩრდილო-დასავლეთი აზიის“ რეგიონის კონტურები. რუსეთთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დაკავშირებული პროცესების გათვალისწინებით, მაღალია იმის ალბათობა, რომ ეს რეგიონი ტრანსფორმირდეს მრავალი საერთაშორისო შინაარსისა და ფუნქციის შემცველი მოვლენისა და პროცესის კონცენტრაციის ცენტრად. რაც შეეხება „ჩრდილო-დასავლეთი აზიის“ რეგიონს, მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორი მეტყველებს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ასეთი ცენტრის განთავსების ლოკაცია საქართველოს დედაქალაქი იქნას მიჩნეული.

ლიტერატურა:

1. თალაკვაძე გ., (2020). 30 წელი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხე ათწლეულის ზღურბლზე. თბილისი, „ნეკერი“;
2. ჟორდანიას ი., და სხვ. (2015) საქართველოს ბუნებრივი რესურსები. I-II ტ. თბილისი, „მეცნიერება“;
3. თალაკვაძე გ., (2021) ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია -მდგრადი განვითარების საფუძველი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და საწარმოო ძალების მდგრადი განვითარები პერსპექტივები“ შრომების კრებული. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
4. თალაკვაძე გ., (2021) ინტეგრალური რესურსების კლასიფიკაციის საკითხისათვის. ბიზნეს-ინჟინერინგი. N3-4, გვ. 107-111;
5. თალაკვაძე გ., საქართველოს მდგრადი განვითარების პრიორიტეტები და რესურსები. პრეზენტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა (18.04.2022);

6. ჭითანავა ნ., (2021) გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში. თბილისი, „ივერიონი“;

7. ჭითანავა ნ., (2018) საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია., თბილისი, „ივერიონი“;

8. Reinert E., (2017) How rich countries got rich and Why poor countries stay poor. Consiable, London.

NEOINDUSTRIAL PARADIGM OF RESOURCE POTENTIAL

Givi Talakvadze

Head of the Applied Analytics and Prognostics Center of the Technical University of Georgia, Head of the Department of the I.Jordania Center for Studying of Productive Forces and Natural Resources of Georgia, givitala@yahoo.com

Giorgi Talakvadze

Director of the JSC “Georesource”
gtala@mail.ru

KEYWORDS: *Neoindustrial stage of development; Integral Resources; Accelerated modes of progress; Orientation algorithms; Acute stage of relations.*

J.E.L. classification: A1, Q2, Q3 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.10>

For citation: Talakvadze Givi, Talakvadze Giorgi, (2022) Neoindustrial paradigm of resource potential (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 66–73. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.10>

Summary

The systemic crisis of the capitalist mode of production and the rigid market economy, the features of the neo-industrial era are creating much accelerated and qualitatively different modes and conditions of actions and practical activities compared to the

previous ones, a new paradigm of global development. Only at the turn of the 20th and 21st centuries does it begin to be recognized that the present and future of humanity depends not only on the possession of integral resources, but primarily on their rational use and the effectiveness of optimal management systems. Quite real opportunities have emerged to influence people’s living conditions not only with military-political and economic levers, but also with high technologies created using intellectual resources. Moreover: today’s technological achievements have created a real possibility of influencing the formation of algorithms of human behavior and bringing it into the framework subordinate to the realization of certain interests. At the current stage of development, which is called the “post-industrial” stage, the work on influencing the formation of people’s desires and aspirations from the “outside” is going on more and more powerfully and with dangerous aggressiveness. In these circumstances, special attention and efforts are required for each country to formulate and implement the most concrete development action program useful only for it. The key issue of such programs is to determine the development priorities of the country and to develop optimal schemes and modes of management and use of integral resources ensuring their realization. Georgia can be transformed into an unprecedented innovative training ground, a space for the development and realization of complex programs of direct large investments, fundamentally new economic regimes and projects secured by international and sovereign guarantees, i.e., an adequate demonstration and realization state of the neo-industrial paradigm of integral resources of Georgia.

Special processes developed in the second half of the 20th century and the first twenty years of the 21st century: the fourth industrial revolution gave a qualitatively new impetus to global technological progress, completely real opportunities emerged to influence people’s living conditions not only with military-political and economic levers, but also with high technologies created using intellectual resources.

Moreover: today's technological achievements have created a real possibility of influencing the formation of algorithms of human behavior and bringing it into the framework subordinate to the realization of certain interests. In the current stage of development, which is called the "post-industrial" stage (although, in our opinion, it carries a more "neo-industrial" content), the work on influencing the formation of people's desires and aspirations from the "outside" is increasingly powerful and dangerously aggressive. Such a paradigm, in the case of its realization in the future, will most likely radically change the vector of human development, which has already acquired a clearly expressed anisotropic character, which may be the cause of new conflicts, segregation, and the collapse of democratic institutions. In these circumstances, special attention and efforts are required for each country to formulate and implement the most concrete development action program useful only for it. The key issue of such programs is to determine the development priorities of the country and to develop optimal schemes and modes of management and use of integral resources ensuring their realization.

Georgia should finally and completely move away from the space of impulsive actions related to fixing its own economic, social and political priorities and move to the space of clear orientations and effective, unambiguous actions achieving tangible positive and positive results with the potential for universal recognition, taking into account the daily reality, Georgia can in the following areas and on the basis of the following resources:

First: a geostrategic resource, the main component of which is to acquire, perform and develop the function of a politically less problematic and economically highly profitable communicator (and not a "corridor" and "bridge").

Second: recognition as a country with the resources and will for political and economic stability and legal guarantees in accordance with international standards, which is the main factor for obtaining large foreign direct investments, without which sustainable development of the country and raising the quality of

life of its population are practically impossible.

Third: operational development and implementation of initiatives and highly effective projects that face the challenges of the "neo-industrial" era, which we are at the beginning stage of Participation in problem solving.

Reference:

1. Talakvadze G., (2020) 30 years. On the threshold of the fourth decade of restoration of state independence of Georgia. Tbilisi, "Nekeri";
2. Jordania I., and others (2015). Natural Resources of Georgia. Vol. I, II Tbilisi, "Science";
3. Talakvadze G., (2021) Optimization of integrated resource management - the basis of sustainable development. International scientific-practical conference "Natural resources of Georgia and prospects of sustainable development of productive forces", Technical University of Georgia, Tbilisi;
4. Talakvadze G., (2021) For the issue of classification of integral resources. *Business-engineering*. N3-4.
5. Chitanava N., (2021). Global challenges in a unipolar world. Tbilisi, "Iverioni";
6. Talakvadze G., Priorities and resources of sustainable development of Georgia. Presentation, N. Muskhelishvili room of the Technical University of Georgia. Extended session of the Scientific Council of the Institute of Computational Mathematics, 18.04. 2022.
7. Chitanava N., (2018) Challenges and Strategy of Georgian economy. Tbilisi, "Iverioni";
8. Reinert E., (2017) How rich countries got rich and Why poor countries stay poor. Consiable, London.

ფერმერთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ერთი ასპექტის შესახებ

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

იოსებ არჩვაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
daswreba@yahoo.com

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
nikoloz.chikladze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: საწვავის ფასი; სუბსიდია; სახელმწიფო დაკვეთა; სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები; ფასების პარიტეტი.

J.E.L. classification: Q41; Q48

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.05>

ციტირებისთვის: კოლუაშვილი პ., არჩვაძე ი., ჩიხლაძე ნ., (2022) ფერმერთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ერთი ასპექტის შესახებ. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 74–81. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.05>

ანოტაცია ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას ძლიერი აგრარული სექტორი წარმოადგენს, რაც სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერას ეფუძნება. აგრარული სექტორი სახელმწიფოსაგან მხარდაჭერას საჭიროებს იმ სემენტში, რომელიც მის კონკურენტუნარიანობას ყველაზე მეტად აბრკოლებს (პროდუქციის მაღალი თვითღირებულება და სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა). მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამოსწორება შესაძლებელია სახელმწიფო დაკვეთით დაკავებული ფერმერული მეურნეობების სუბსიდირებით საწვავზე, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სახეობის აგრარულ პროდუქციაზე ფასების პარიტეტის უზრუნველყოფა და აღწარმოების საშუალებებზე ფასების მთელი ნამატის ბიუჯეტზე გადაკისრება.

შესავალი

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ წარმატებული და ეფექტიანი აგრარული სექტორი ეფუძნება არა მარტო შესაბამის სფეროში დასაქმებულთა ცოდნას, დარგის ტექნიკურ აღჭურვილობას და ღია, თავისუფალი ბაზრის პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას, არამედ გარკვეული პროტექციული ზომების გატარებასაც, რაც გულისხმობს არა იმდენად იმპორტისათვის ბარიერების დაწესებას, რამდენადაც ადგილობრივი მეწარმეებისათვის მხარდაჭერას მათი კონკურენტუნარიანობის ზრდისა და მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირების გაუმჯობესებისათვის. აგრარული სექტორისათვის, სადაც პროდუქციის წარმოება არა მარტო მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, არამედ ხანგრძლივი საწარმოო ციკლისა და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების გამო მომეტებული რისკის მატარებელიცაა, სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ასპექტით, უაღრესად მნიშვნელოვანია მიწის როგორც მეურნეობის ობიექტის გამოყენების მაღალი ეფექტიანობის მიღწევა, რაც დიდწილად სწორედ სახელმწიფოს რაციონალური აგრარული პოლიტიკის საფუძველზეა შესაძლებელი. თავის მხრივ, მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი საწარმოო ფაქტორის გამოყენების ეფექტიანობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაზე. აგრარულ სექტორში წარმატება სულ უფრო მეტად უკავშირდება ერთეულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე თუ ერთ დასაქმებულზე ენერგეტიკული სიმძლავრეებისა და რესურსების გამოყენებას. ამიტომაც აღნიშნული სექტორისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მაგისტრალური მიმართულება უნდა იყოს აგრარული პროდუქციის წარმოების სხვადასხვა კომპონენტის სუბსიდირება, ამ უკანასკნელში კი, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს აგრარული პროდუქციის წარმოებაზე საწვავის სუბსიდირებამ.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს სოფლის მეურნეობამ ბოლო პერიოდში ათეული წლების მანძილზე სტაგნაციის მდგომარეობას თავი ფაქტიურად დააღწია. ამ სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება ბოლო 7 წელიწადში (2021-2016 წწ.) დაახლოებით 10 პროცენტით გაიზარდა, თუმცა ეს დარგი მაინც რჩება ეროვნული მეურნეობის ერთერთ ყველაზე სუსტ რგოლად. ამაზე მეტყველებს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტებით ქვეყნის მოთხოვნილებების თვითუზრუნველყოფის დაბალი დონე (2021 წლის მონაცემებით, ხორბლით - %22, სიმინდით - %74, ბოსტნეულით - %61, ხორციით - %51) და მეტისმეტი დამოკიდებულება იმპორტზე (საქსტატი, 2022). მხოლოდ 2022 წლის პირველ ცხრა თვეში საგარეო ვაჭრობაში სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის უარყოფითმა

საღირებულებამ 385.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა - 2.9-ჯერ მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაც ნეგატიურად აისახება როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, ისე ეროვნული ვალუტის კურსზე (საქსტატი, 2022). დიდია დაუმუშავებლად დატოვებული მიწის ფართობი, რომელიც სახნავის 60%-ს აღწევს, რაც სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, გამოწვეული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების (ძირითადად, სასუქების, შხამქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საწვავის) გაძვირებით.

ცნობილია, რომ ნავთობი განეკუთვნება ძნელად მოსაპოვებელ და ამოწურვადი ენერჯის წყაროს, რაც განაპირობებს საწვავზე მაღალი ფასების შენარჩუნებას. ამასთან, საქართველოში აბსოლუტურად დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე, რადგანაც მოპოვებული ნავთობი ქვეყნის მთლიანი მოხმარების მხოლოდ 2.2 პროცენტია. მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების გაძვირების გამო საქართველომ 2022 წლის იანვარ-სექტემბერში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამატებით გადაიხადა დაახლოებით 440 მლნ. აშშ დოლარი, საიდანაც მხოლოდ 5/1-მდე ეკონომიკის რეალურ ზრდას, დანარჩენი კი ნავთობის გაძვირების „დამსახურება“ იყო.

ასეთ პირობებში, საკუთარი ნავთობპროდუქტების ფაქტობრივი უქონლობის გამო საქართველოს მთავრობას შეუძლია ფერმერებზე მისაყიდი საწვავის ფასის რეგულირება, ფაქტობრივად, მხოლოდ საწვავზე დარიცხული გადასახადების რეგულირებით (აქციზი, დღგ, ან ორივე ერთად).

საწვავის შესყიდვის ფასის ნაწილის, ან მთლიანად გახარჯული საწვავის ღირებულების სახელმწიფო პროგრამებისა და დაკვეთების შესრულებაში ჩართულ ფერმერისთვის დაბრუნების პრაქტიკას მრავალი ქვეყანა მიმართავს. ზოგ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამოსაყენებელ გაიაფებულ საწვავს სრულად ანაზღაურებენ (შვედეთში), ზოგან კი

მხოლოდ ნაწილობრივ (აშშ, გერმანია და სხვ.)

ამ მიმართულებით საინტერესოა სომხეთის გამოცდილება, სადაც განბაჟებული დიზელის ღირებულებას ემატება მხოლოდ 10%, რასაც სოფლისმეურნეობაში იაფი საწვავის გამოყენების აუცილებლობით ხსნიან.

ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ყველაზე მისაღებია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად შესყიდული დიზელის საწვავის სუბსიდირება არაპირდაპირი გადასახადების ანუ აქციზისა და დღგ-ს მანიპულირებით, რისთვისაც შესაძლებელია მისი გამოყენების გამჭირვალე მექანიზმი და მისაღებია შესაბამისი კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები სახელმწიფოს წინაშე მდგარი სერიოზული შიდა და გარე გამოწვევები, ბიუჯეტის შეზღუდული ხასიათი და აღნიშნული საწვავის სუბსიდირება უნდა გავრცელდეს სოფლად არა ყველა მეურნეზე, არამედ შესაბამის სახელმწიფო პროგრამასა და სახელმწიფო დაკვეთაში ჩართულ ფერმერებზე - ასეთ პროგრამებში მონაწილე სოფლის მეურნის სტატუსის მქონე პირებზე, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ გაერთიანებებზე (კოოპერატივებზე) და ა.შ.

ცნობისათვის მოგვყავს დიზელის საწვავზე საცალო ფასის გაანგარიშების მეთოდიკა: პლატცის ფასს ემატება საქართველოს საზღვრამდე ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯები, ეს არის ე.წ. კომერციული ფასი. საწვავი საბაჟოზე აღირიცხება კილოგრამებში. ყოველ 1000 კილოგრამ საწვავის ღირებულებას ემატება აქციზი 440 ლარის ოდენობით, შემდეგ მას ერიცხება დღგ, რომელიც შეადგენს კომერციული ფასისა და აქციზის საერთო ღირებულების 18%-ს (საგადასახადო კოდექსი, 188:პ1). საცალო ქსელში გატანამდე დიზელის ღირებულებას (კომერციული ღირებულება+აქციზი+დღგ) ემატება კომპანიის მომსახურების და მოგების ღირებულება, შედეგად ყალიბდება დიზელის გასაყიდი საცალო ფასი.

აღსანიშნავია, რომ დიზელის საწვავი

საცალო ქსელში იყიდება ლიტრობით, მაშინ, როდესაც აქციზი და დღგ-ს გაანგარიშება ხდება კილოგრამიდან, ანუ წონიდან, ეს ნიშნავს, რომ 1 ლიტრზე გაანგარიშებული აქციზი იქნება ნაკლები, ვიდრე 1 კილოგრამზე, კერძოდ, აქციზი 1 კგ საწვავზე შეადგენს 44 თეთრს, ხოლო 1 ლ-ზე - 36.7 თეთრს, რაც შეეხება დღგ-ს, მისი ოდენობა უნდა მოგვაწოდოს კონტრაქტორმა კომპანიამ, რამდენადაც იგი დამოკიდებულია პლატცზე არსებულ ფასზე. ამდენად, თუ აქციზის სიდიდე 1 კგ ან 1 ლიტრ საწვავზე მუდმივი სიდიდეა, დღგ, პირიქით, ცვალებადია და ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურ გაანგარიშებას საჭიროებს.

საწვავის განაწილება ფერმერულ მეურნეობებზე შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: მუნიციპალიტეტის თვითმართველობის ორგანოსთან იქმნება საწვავის სუბსიდირების კომისია, რომელიც თითოეული სახელმწიფო პროგრამასა თუ დაკვეთაში ჩართული კომლის მიხედვით სპეციალურ ბარათში აღრიცხავს დასამუშავებელი ფართობის მოცულობას და ადგენს ამისათვის საჭირო დიზელის საწვავის ნორმატიულ რაოდენობას. საწვავში ფერმერი იხდის სრულ ფასს. (კოლუაშვილი, 2022).

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების (საგაზაფხულო და საშემოდგომო) დამთავრების შემდეგ რაიონული კომისია ატარებს შერჩევით მონიტორინგს, რომელშიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მონაწილეობენ საწვავის კონტრაქტორი კომპანიისა და საწვავის იმპორტიორთა კავშირის წარმომადგენლები და ვიზუალური დაკვირვების, აგრეთვე, საწვავის შესყიდვის დამადასტურებელი ქვითრების საფუძველზე ხელმოწერით ადასტურებს საწვავის ხარჯვის სისწორეს.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ჯამდება გამოყენებული საწვავისა და მასზე დარიცხული აქციზისა და დღგ-ის ღირებულება და კომისიის წევრების ხელმოწერით წარედგინება ფინანსთა სამინისტროს ხაზინის სამსახურს, რომელიც აღნიშნულ თანხას ურიცხავს კონტრაქტორ ბანკს. ბანკი, თავის მხრივ, თანხას

ურიცხავს ფილიალებს მუნიციპალიტეტებში ზემოხსენებულ პროგრამასა და დაკვეთაში ჩართულ ფერმერებზე გასაცემად.

საწვავის სუბსიდირების შესახებ უნდა მომზადდეს მთავრობის დადგენილების პროექტი, სადაც მითითებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტების კონტრაქტორი კომპანიისა და კონტრაქტორი ბანკის შერჩევის წესი. ნავთობპროდუქტების შერჩეულ კომპანიას უნდა მოეთხოვოს დიდ სოფლებში საწვავის საკუთარი ტრანსპორტით შეტანა.

განსახილველია საკითხი ერთ გლეხზე (ფერმერზე) გასაცემი შეღავათების მოცულობის შესახებ, რომელიც შეიძლება დარეგულირდეს, როგორც დასამუშავებელი ფართობის, ისე საწვავის რაოდენობის მიხედვით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერთ კილოგრამ თუ ერთ ლიტრ საწვავზე აქციზის ოდენობის გაანგარიშება ადვილია, რადგან მისი სიდიდე საწვავის ერთეულზე მუდმივია. რაც შეეხება დღგ-ს, იგი დამოკიდებულია საწვავის კომერციული ფასზე, ანუ შეიცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია პლატცზე საწვავის ფასი.

აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება სუბსიდირებული იქნეს გაყიდული საწვავის თითოეული ლიტრი, ვთქვათ 1.50 ლარით. ამ ეტაპზე გამართლებული იქნება სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციაში ჩართული, სახელმწიფო დაკვეთის მიმღები თითოეული ფერმერის საკუთრებაში ან სარგებლობაში (იჯარა) არსებული სახნავ-სათესი ფართობის დამუშავებისთვის საჭირო საწვავის რაოდენობის დადგენა. შეიძლება მოვახდინოთ ასეთი გაანგარიშება: ერთი ლიტრი დიზელის საწვავი ბენზინგასამართ სადგურზე (2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით), ღირს 4 ლარი და 10 თეთრი, მაშინ 5 ჰა სახნავის მქონე ფერმერს დაჭირდება 100 ლიტრი საწვავი, რომელშიც მან უნდა გადაიხადოს 410 ლარი. ერთ ლიტრზე 1.5 ლარის სუბსიდირების შემთხვევაში ფერმერი მიიღებს 150 ლარს. აქედან გამომდინარე, რეალურად გლეხს (ფერმერს) 100 ლიტრი

საწვავის შეძენა დაუჯდება არა 410 ლარი, არამედ 260 ლარი ($410-150=260$), ანუ 36.6%-ით ნაკლები, რაც სერიოზული შეღავათია.

დიზელის საწვავის ბოლოდროინდელი დინამიკისა და ხელისუფლების კეთილი ნების პირობებში, შესაძლებელია საუბარი აღნიშნული საწვავის უფრო მასშტაბურ სუბსიდირებაზეც (ყოველ ლიტრ დიზელის საწვავზე - 2.50-2.00 ან მეტი ლარი).

ვფიქრობთ, ანალოგიური ხასიათის მუშაობა უნდა წარიმართოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გაიაფების სხვა მიმართულებითაც, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ნიადაგის დამუშავება (ხვნა, დაფრევა, დაფარვა დათესვა...) ჰექტარზე უკვე 1200 ლარზე მეტი ჯდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირების მკაცრი შეზღუდულობის (რაც გამოწვეულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის სასარგებლო ორგანულ-ფიზიკურ თვისებათა, ანუ სამომხმარებლო ღირებულებათა ფაქტობრივი უცვლელობით) გამო სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდის ტემპი ბევრად ჩამორჩება მისი წარმოებისათვის საჭირო საშუალებებზე (საწვავი, ელექტროენერგია, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, სასუქები და სხვ.) ფასების ზრდის ტემპს (სწორედ ეს ფაქტი ქმნის სათანადო მოტივაციას ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში აგრარული წარმოების სუბსიდირებისათვის).

მიგვაჩნია, რომ სამომავლოდ ზემოაღნიშნული გაანგარიშება უნდა გაკეთდეს არამარტო საწვავის, არამედ წარმოების ყველა სხვა საშუალების მიმართაც. ამ მიზნით გარკვეული ნაბიჯები უკვე იდგმება. - მიღებულია ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“ (პროგრამა, 2022). ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების საშუალო ინდექსი ერთი რომელიმე საშუალო მოსავლიანი წლის მიხედვით და ასეთივე წესით გაანგარიშებული იქნეს წარმოების საშუალებების

ფასების ზრდის საშუალო ინდექსი (კუნჭულია და მჭედლიშვილი, 2013:276). ორივე ინდექსი შესაბამისი კანონით დამტკიცებული უნდა იქნეს მომავლისთვის როგორც ფასების პარიტეტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საშუალებებზე (პარიტეტი გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის სამრეწველო საქონელი ან მომსახურება შეიძლება მიიღოს სოფლად საქონელმწარმოებელმა მის მიერ წარმოებული პროდუქციის ერთეულზე).

ამდენად, ყველა მომდევნო სამეურნეო წლისთვის გაანგარიშებული ფასების ინდექსებიდან გამომდინარე, სახეზე გვექნება პარიტეტს გადაცილებული საერთო თანხა, რომელიც წარმოების საშუალებათა მწარმოებლების სუბსიდირებისათვის ბიუჯეტიდან უნდა იქნეს გამოყოფილი. (თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდის ინდექსმა შეადგინა 5%, ხოლო აღწარმოების საშუალებებზე - 10%, ამ შემთხვევაში ბიუჯეტმა უნდა გაიღოს ხარჯების 5%).

ფასების პარიტეტის შემოდების პირველ წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული ტემპებით განვითარების მიზნით, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება აგრარულ პროდუქციაზე დაწესებული ფასების პარიტეტის შენარჩუნება და აღწარმოების საშუალებებზე ფასების მთელი ნამატის ბიუჯეტზე გადაკისრება (ანუ 10-ვე პროცენტისა).

ფასების პარიტეტი დაწესებული უნდა იქნეს ისეთ სტრატეგიულ პროდუქციაზე, როგორცაა სასაქონლო მარცვლეული, ხორცი, რძე, ხილი, ციტრუსი და კიდევ რამდენიმე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უშიშროებას და კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობას ნედლეულით.

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე ფასთა პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის მიღება ხელს შეუწყობს აგროპროდუქციის წარმოების გადიდებას და სათავეს დაუდებს სოფლის

მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავებას, გაზრდის აგრარული სექტორის ეფექტიანობას, წვლილს ეროვნულ მეურნეობაში, სოფლად ცხოვრებისა და საქმიანობის მოტივაციას, შეამცირებს სოფლიდან ქალაქად და საზღვარგარეთ სოფლის მოსახლეობის მიგრაციას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფაში იმპორტზე არსებულ ამჟამინდელ მაღალ დამოკიდებულებას.

დასკვნა

სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. მისი უზრუნველყოფა კი შეუძლებელია ძლიერი აგრარული სექტორის, გამართული სოფლის მეურნეობის, შრომის მწარმოებლურობისა და სასურსათო პროდუქციის ძირითადი სახეობებით თვითუზრუნველყოფის მაღალი დონის გარეშე.

აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აგრარული სექტორის ძლიერი მხარდაჭერის, ამ სფეროში დასაქმების მაღალი სტიმულირებისა და მოტივაციით, რომლის ერთერთ ყველაზე აპრობირებულ და ეფექტიან ფორმას სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირება წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიანობა ღია ბაზრის პირობებში ერთდროულად აწყდება ორგვარ გამოწვევას: შიდადარგობრივ კონკურენციას - როდესაც სხვა ქვეყნებიდან შემოსული იაფი პროდუქცია ჯაბნის სამამულო პროდუქციას და ფაქტობრივად, არა მარტო აძევებს მას ბაზრიდან, არამედ საერთოდ, არარენტაბელურს და ეკონომიკურად წამგებიანად ხდის მის წარმოებას ქვეყანაში და დარგთაშორის კონკურენციას - როდესაც შრომის უფრო მაღალი მწარმოებლურობის გამო ინვესტიციები უფრო მიმზიდველია ეკონომიკის სხვა დარგებში, ისევე როგორც წარმოების სტიმულირებისათვის აუცილებელი რენტაბელობის დონე.

აღნიშნულის დამლევა შესაძლებელია მხოლოდ აგრარული სექტორის შიდადარგობრივ და დარგთაშორის კონკურენციაში სახელმწიფოს ძლიერი მხარდაჭერით. ამგვარი მხარდაჭერის მაგისტრალური გზა კი წარმოების უმნიშვნელოვანესი, შეუცვლელი და მზარდი ღირებულების მქონე საწვავის სუბსიდირებაზე გადის. სახელმწიფო დაკვეთაზე მომუშავე ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის საწვავი მაქსიმალურად შეღავათიანი ფასით უნდა მიეწოდებოდეთ, ხოლო მთლიანობაში აგრარული პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო რესურსების (საწვავი, ელექტროენერგია, მინერალური სასუქი, ტექნიკა, etc.) ფასების ინდექსი არ უნდა აღემატებოდეს აგრარული პროდუქციის ღირებულების ინდექსს, ასეთის წარმოშობის შემთხვევაში კი სხვაობა ფერმერების სასარგებლოდ უნდა იფარებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საფასო პარიტეტის დამყარება აგრარულ პროდუქციასა და დანარჩენ, არააგრარულ პროდუქციას შორის არ არის მხოლოდ აგრარული სექტორის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირების უზრუნველყოფი პირობა. იგი აგრეთვე წარმოადგენს მძლავრ მოტივატორს სოფლად აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისა და მიგრაციული პროცესების სახელმწიფოს სასურველ კალაპოტში წარმართვისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=186> (შემოწმებულია 7.11.2022)
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“. URL: <https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan> (შემოწმებულია 7.11.2022)
3. კოლუაშვილი პ., იაფი საწვავი

სახელმწიფო დაკვეთებსა და პროგრამებში ჩართული ფერმერებისთვის. – „რეზონანსი“, 14.07.2022

4. კუნჭულია თ., მჭედლიშვილი ქ., (2013) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად შესყიდული საწვავის სუბსიდირების შესახებ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი, ტ., 32, გვ.275-276ა.

5. Agricultural Subsidy Programs. By Daniel A. Sumner. URL: <https://www.econlib.org/library/Enc/AgriculturalSubsidyPrograms.html>

(შემოწმებულია 7.11.2022)

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

ABOUT ONE ASPECT OF STATE SUPPORT FOR FARMS

Paata Koghuashvili

Professor of Technical University of Georgia
paata_koguashvili@hotmail.com

Joseph Archvadze

Professor of Kutaisi University
daswreba@yahoo.com

Nikoloz Chikhladze

Professor of Kutaisi University
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

KEY WORDS: fuel price; subsidy; state order; agricultural works; Price parity.

J.E.L. classification: Q41; Q48

DOI:

<https://doi.org/10.52244/ep.2022.24.05>

For citation: Koguashvili P., Archvadze J., Chikhladze N., (2022) About one aspect of state support for farms (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 74–81. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.05>

Summary

Agriculture, despite the relative stabilization of recent years, is still the weakest link in the Georgian economy. This is evidenced by the country's low level of self-sufficiency in many types of agricultural products (for wheat - 22%, for corn - 74%, for vegetables - 61%, for meat - 51%) and its high dependence on imports. In the first 9 months of 2022 alone, the negative balance in foreign trade in agricultural and food products amounted to 385.8 million US dollars, which negatively affects both the macroeconomic state of the economy and the country's exchange rate.

Due to the rise in prices for oil products on the world market, Georgia had to pay USD 440 million more in January-September 2022 compared to the corresponding period last year, of which only less than 1/5 was due to economic growth, and the rest

“was a merit” of the rise in oil prices.

The uncultivated land area remains too large (up to 60%), which, along with other reasons, is due to the rise in the cost of material resources for the production of agricultural products (mineral fertilizers, pesticides, agricultural machinery, fuel).

Due to the virtual lack of domestically produced non-ferrous products, the government can only regulate the price of fuel for farmers through the regulation of taxes (excise, VAT).

Many countries follow the practice of returning part or all of the cost of fuel to farmers involved in the implementation of government programs or orders. In some countries, the state fully (Sweden) or partially (USA, Germany, etc.) covers the cost of fuel used for agricultural work.

In our opinion, it is most acceptable for Georgia to subsidize diesel fuel purchased for agricultural work by manipulating indirect taxes (excise, VAT), for which it is necessary to develop a transparent mechanism for its use. An appropriate law should be adopted by the Parliament of Georgia. Appropriate subsidies should be extended exclusively to farmers involved in the relevant state programs (orders), as well as to the production associations created by them - cooperatives.

The excise tax on 1 kg of fuel in Georgia is currently 44 tetri, and on one liter of fuel, respectively, 36.7 tetri. At the same time, if the amount of excise tax per liter of fuel is a constant value, VAT, on the contrary, is a variable value and in each specific case an individual calculation is required.

We consider it lawful that the subsidization was at least 1.50 lari per liter of diesel fuel. At prices for October 2022, one liter of diesel fuel costs 4.10 GEL. To cultivate 5 hectares of arable land, a farmer needs approximately 100 liters of fuel, i.e. fuel worth 410 GEL. By subsidizing 1 liter of fuel in the amount of 1.50 GEL, the farmer can save 150 GEL, buying 100 liters of fuel will cost only 260 GEL (= 410-150), i.e. more than 1/3.

It seems that in order to reduce the cost of agricultural work, the same work should be carried

out in other areas (plowing, milling, sowing ...), which are currently estimated at 1,200 lari per hectare of agricultural land.

It seems that in the future the same attitude should be shown in relation not only to fuel, but also to all other types of means of production. For this, the starting point should be the average index of prices for agricultural products for one harvest year, and in this way the average index of price growth for the corresponding means of production is calculated. Both indices should be approved as the basis of price parity between agricultural products and the means for its production (the parity will show how much industrial output or services an agricultural commodity producer can receive per unit of output he produces). Thus, if the increase in prices for agricultural products is 5%, and for inputs for agricultural production - 10%, the difference between them - 5% (= 10% - 5%) should be covered by the budget.

Price parity should be established for such strategic products as marketable grain, meat, milk, fruits, citrus fruits and some others. Which provide the country's food security and the processing industry with raw materials.

The adoption of the law "On the establishment and protection of price parity for goods and services necessary for the reproduction of agricultural products" will contribute to the growth of agricultural products and deepen the production specialization of agriculture, increase the efficiency of the agricultural

sector, increase its share in the national economy, motivate life and work in the countryside, reduce the migration of people from rural areas to cities or abroad and, last but not least, reduce the current high dependence on imports in the food supply of the population of Georgia.

Reference:

1. Tax Code of Georgia. URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=186> (Available 7.11.2022)
2. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. State program "Stimulation of agricultural land owners". URL: <https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan> (Available 7.11.2022)
3. Koghuashvili P., Cheap fuel for farmers involved in state orders and programs. - «Resonance», 14.07.2022
4. Kunchulia T., Mchedlishvili K., (2013) About subsidizing fuel purchased for agricultural works. Georgian Academy of Agricultural Sciences. Tbilisi, N32, p.p.275-276a.
7. Agricultural Subsidy Programs. By Daniel A. Sumner. URL: <https://www.econlib.org/library/Enc/AgriculturalSubsidyPrograms.html> (Available 7.11.2022)
5. Materials of the National Statistical Service of Georgia.

PROBLEMS AND PROSPECTS OF NATIONALIZATION AND IMPLEMENTATION OF SDG INDICATORS IN GEORGIA

Tsitsino Dzotsenidze

PhD, Associate Professor of
Kutaisi University, tsitsino.dzotsenidze@atsu.edu.ge

Zurab Mushkudiani

PhD, Professor of Tbilisi Guram Tavartkiladze
Educational University, zurab.mushkudiani@gttu.edu.ge

KEYWORDS: *Sustainable development; purpose; Economic Growth; social inclusion; Environmental protection.*

J.E.L. classification: O2, E60 **DOI:** <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.14>

For citation: Dzotsenidze Ts., Mushkudiani Z., (2022) Problems and prospects of nationalization and implementation of SDG indicators in Georgia. Conventional results of unconventional monetary policy. Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 82–88. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.14>

Introduction

Italy	232,085	228,560	183,337	248,397	196,756	Atomic reactors, etc.

Georgia’s trade balance is constantly negative, according to trade partner countries, we do not actually have a positive balance with any country, except for exceptional countries (in the background of the war, Ukraine and Peru can be considered). Georgia’s import volume is actually twice the export volume. Based on the above data, we can conclude that from 2018 to the current state of 2022, the volume of exports ranged from 3 to

4 billion US dollars, while the volume of imports ranged from 9 to 10 billion. This data shows how dependent Georgia is on imports, in fact Imports are 2.5 times higher than exports. Despite the fact that in the background of the Russia-Ukraine war, the volume of exports is increasing, which is confirmed by the monthly analysis of export-import, this does not significantly increase the economic identity of Georgia. See diagram 7.

Diagram 7

External trade of Georgia, export-import volume, 2022, current, (million USD)
(Service, 2022)



Based on the discussion and summary of the data discussed above, we can assume that the inflow of cash flows, the increase in the volume of trade and the increased flow of travelers

would lead to the correction of macroeconomic indicators. To present a comparative analysis according to the beginning of the year and the current situation, see Table 5.

Table 5

Some macroeconomic indicators of Georgia during the Russia-Ukraine war

	01.2022	2022, current (08.11)	2021 year, average
Economic Growth	Forecast 6%	Corrected 8.5%	10%
Inflation rate, real	13,9%	10.5%	13,9%
Refinance rate	10,5%	11%	8-10,5%
Exchange rate of the national currency against the US dollar	3,07	2.73	-3,27
unemployment rate	19,4%	20,1%	20,6%

As can be seen from the table, despite the fact that the economic growth is higher than planned, at the same time, the national exchange rate is strengthened, we must conclude - this is due to the inflow of cash flows and travelers (mainly emigrants from Russia), but the level of unemployment is quite high and the rate of refinancing has increased. In addition, the rate of inflation is in double digits, which is an additional burden (cost) to the population of Georgia. For the sake of fairness, it should be noted that the increased inflation is a characteristic, and in the world, leading countries and trade partner countries of Georgia, for example, Turkey has 84% inflation, and Azerbaijan has 15% inflation, which in itself It affects the increase in the value of imported goods in Georgia in the local market, relatively prices are neutralized by the effect of the exchange rate of the national currency and the refinancing rate, which at this stage is aimed at reducing inflation and stimulating exports, but we understand that the current geopolitical situation is one-time, But its impact will be relatively strategic for those countries that have the potential to show us as a partial or complete substitute for the Russian market. It can be clearly seen from Table 1 that Azerbaijan's economic growth is at 56% and the export of Azerbaijani gas and oil to Europe is actively being considered in the future (compared to last year, the volume of imported gas export from Azerbaijan to

Europe has doubled), while the export of oil and gas from Central Asian countries Passing through Azerbaijan and Georgia to Europe does not seem surreal, therefore, the changed geopolitical and economic circumstances for Georgia opens a window of new opportunities. Georgia can become together with neighboring countries one of the guarantors of Europe's energy independence. It should be noted here that the economy of Georgia is mainly focused on service areas, which, based on the multiplier effect, develops other related services and other branches of the real sector, a clear example of this is the increase in demand for residential houses/apartments by the citizens of Russia and Belarus during the war, for the purchase or for the renting, which led to an increase in real estate prices and additional stimulation of construction and service businesses.

Conclusion

The reduction of export and import from Russia should be done periodically, because this market is considered the most unstable for Georgia, and past experience is enough proof.

Diversification of markets, even for the export of traditional goods for us, because if the war continues, the restriction of trade relations with Russia will probably continue and expand;

- Although the volume of oil products imported from Russia is high and logical, after the full

implementation of the EU sanctions, we will probably have to refuse the import of Russian oil from March 2023, therefore it is important to start the process of replacing Russian oil this year.

During the war, Georgia's export volume grew with similar goods and proportions as in previous years, but it is worth noting that Georgia's exports include a large volume of imported goods, i.e. goods that are not produced by Georgia, and the growth of export volume and import volume is almost the same, which it cannot change the negative trade balance of Georgia, besides, the volume of imports is twice or more than the volume of exports.

In order to ensure the positive trade balance of Georgia, it is most important that the production of imported goods takes place in Georgia, if the country's economy allows it. According to the Statistical Service of Georgia, up to 70% of the goods included in the consumer basket are imported goods, therefore the situation can be said to be very difficult.

The Russia-Ukraine war showed us that in terms of food products, Georgia mainly depends on trade partner countries, it is clear that the production of food products is related to specific conditions, including the geographical environment, but it is possible to produce and export those goods that Georgia has the ability to produce, meaning agricultural products (natural and bio-products) (it turned out that we have the potential to produce half of the total consumption of wheat in Georgia).

The impact of the Russia-Ukraine war on Georgia's economy is obvious, the new geopolitical situation gives Georgia more opportunities in this regard due to its geographical location. Russia's economy clearly has a greater impact on Georgia's economy than Ukraine's, but this should not be considered a positive event due to the unpredictability of Russia's actions. For the future perspective, it may even be better to distance the economy of Georgia

from the economy of Russia (at least the latest developments show this).

Referense:

Administration, U. S. (2022, October 04). *U. S. imports from Russia of crude oil and petroleum products, monthly*. Retrieved from U. S. Energy Information Administration: https://www.eia.gov/opendata/v1/qb.php?sdid=PET.MTTIM_NUS-NRS_1.M

BCC. (2022, November 11). *EU reveals its plans to stop using Russian gas*. Retrieved from BBC: <https://www.bbc.com/news/science-environment-61497315>

CGTN. (2022, October 28). *Mercedes-Benz sells off shares to local investor after leaving Russia*. Retrieved from CGTN: <https://newseu.cgtn.com/news/2022-10-28/Mercedes-Benz-sells-off-shares-to-local-investor-after-leaving-Russia-1etTRJK7wcg/index.html#:~:text=Mercedes%2DBenz%20is%20the%20latest,15%25%20stake%20in%20Kamaz%20trucks.>

Department, S. R. (2022, November 07). *Dependence on Russian gas in Europe 2021, by country*. Retrieved from Statista: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/>

ECONOMICS, T. (2022, November 08). *Brent crude oil*. Retrieved from TRADING ECONOMICS: <https://tradingeconomics.com/commodity/brent-crude-oil>

ECONOMICS, T. (2022, November 08). *TRADING ECONOMICS*. Retrieved from Chicago wheat futures prices: <https://tradingeconomics.com/commodity/wheat>

ECONOMICS, T. (2022, November 08). *TRADING ECONOMICS*. Retrieved from statistical indicators of the countries: <https://tradingeconomics.com/>

Georgia, N. B. (2022, November 08). *National Bank of Georgia*. Retrieved from National

Bank of Georgia, Interactive statistic, external trade: https://analytics.nbg.gov.ge/views/External_Trade_GE/sheet0?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3A-showVizHome=no

HOUSE, T. W. (2022, MaRCH 08). *ACT SHEET: United States Bans Imports of Russian Oil, Liquefied Natural Gas, and Coal*. Retrieved from THE WHITE HOUSE: <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/03/08/fact-sheet-united-states-bans-imports-of-russian-oil-liquefied-natural-gas-and-coal/>

NATIONAL STATISTICAL OFFICE OF GEORGIA. (2022, November 08). Retrieved from External Trade Portal: <http://ex-trade.geostat.ge/en>

OECD. (2022, November 07). *The impacts and policy implications of Russia's aggression against Ukraine on agricultural markets*. Retrieved from OECD: <https://www.oecd.org/ukraine-hub/policy-responses/the-impacts-and-policy-implications-of-russia-s-aggression-against-ukraine-on-agricultural-markets-0030a4cd/>

Service, N. S. (2022, November 08). *Service, National Statistics Office of Georgia*. Retrieved from External trade by goods, 2022: <https://www.geostat.ge/media/49204/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E>

WSJ. (2022, SEPTEMBER 26). *Russia's War in Ukraine to Cost Global Economy \$2.8 Trillion, OECD Says*. Retrieved from THE WALL STREET JOURNAL: <https://www.wsj.com/articles/russias-war-in-ukraine-to-cost-global-economy-2-8-trillion-oecd-says-11664177401>

რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა მსოფლიოსა და საქართველოს სავაჭრო ბალანსზე ლაშა ბერიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, lberidze@cu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი; იმპორტი; სავაჭრო ბალანსი; სანქცია; ნავთობპროდუქტები; სასურსათო პროდუქცია

JEL Classification: F18, F44, F24 **DOI:** <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.13>

ციტირებისათვის: Beridze L., (2022) The impact of the Russia-Ukraine war on the trade balance of the world and Georgia. Vol. 17, 2(24), p. 89–103. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.13>

რეზიუმე

რუსეთის ფედერაციის შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, აშკარა აგრესია და მისი გავრცელების საფრთხე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კიდევ უფრო არაპროგნიზირებადს ხდის მსოფლიო ეკონომიკურ გარემოს. პანდემიის დასრულების დასაწყისი დაემთხვა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებას და თითქოს მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის პროცესი კიდევ უფრო გაართულა. მიწოდების ჯაჭვების რღვევამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ინფლაცია, განსაკუთრებით აღნიშნული შეეხო სტრატეგიულ საქონელს, მათ შორის სურსათს და ენერგორესურსებს.

ნაშრომში წარმოდგენილი და გამოკვლეულია საქართველოს სავაჭრო საპარტნიორო ქვეყნებისა და მსოფლიო მოწინავე ეკონომიკების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი ომამდე და ომის პერიოდში. მსოფლიო და სავაჭრო საპარტნიორო ქვეყნები შერჩეულ იქნა მიზნობრივი კვლევის ფარგლებში. საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი

ზეგავლენის გამო, საქართველოს სავაჭრო ბალანსის მუდმივი დეფიციტი, როგორც აღმოჩნდა კიდევ უფრო ართულებს იმპორტირებული საქონლის ინფლაციურ წნეხს საბოლოო მომხმარებლებზე. საქართველოს სავაჭრო ბალანსის სტრუქტურაში ძირითადია ის საქონელი, რომელიც ადგილობრივი ნაწარმი არ არის და ფაქტობრივად გვიწევს ექსპორტის დაფინანსება იმპორტის ხარჯზე (ატომური რეაქტორები, მათი დანადგარები, მიწისზედა ტრანსპორტი და სხვ).

ნაშრომში გამოკვლეული სხვადასხვა სარეიტინგო კომპანიის საპროგნოზო მაჩვენებელი ზოგიერთ საქონელთან მიმართებით (ნავთობი, ხორბალი) და მნიშვნელოვანწილად ვარაუდები აღმოჩნდა მცდარი, მაგრამ არსებული ინფლაციაც გამოწვევაა საქართველოსა და მსოფლიოსათვის. საქართველოს მაკროეკონომიკური მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოცემულ ეტაპზე შედარებითი სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდა გამოწვეულია რუსეთის ფედერაციიდან მგზავრთა და ფულადი ნაკადების შემოდინების პროგრესით წინა პერიოდთან შედარებით. საქართველოსთვის ეს პროცესი ერთჯერადია და ომის დასრულების შემდეგ არსებული ეკონომიკური ვითარების გაუარესებას უნდა ველოდოდ. ამიტომ, სამომავლო ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ რუსეთის ეკონომიკისაგან დისტანცირება.

Reference:

Administration, U. S. (2022, october 04). *U. S. imports from Russia of crude oil and petroleum products, monthly*. Retrieved from U. S. Energy Information Administration: https://www.eia.gov/opendata/v1/qb.php?sdid=PET.MTTIM_NUS-NRS_1.M
BCC. (2022, November 11). *EU reveals its plans to*

stop using Russian gas. Retrieved from BBC: <https://www.bbc.com/news/science-environment-61497315>

CGTN. (2022, october 28). *Mercedes-Benz sells off shares to local investor after leaving Russia*. Retrieved from CGTN: <https://newseu.cgtn.com/news/2022-10-28/Mercedes-Benz-sells-off-shares-to-local-investor-after-leaving-Russia-1etTRJK7wgc/index.html#:~:text=Mercedes%2DBenz%20is%20the%20latest,15%25%20stake%20in%20Kamaz%20trucks>.

Department, S. R. (2022, November 07). *Dependence on Russian gas in Europe 2021, by country*. Retrieved from Statista: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/>

ECONOMICS, T. (2022, November 08). *Brent crude oil*. Retrieved from TRADING ECONOMICS: <https://tradingeconomics.com/commodity/brent-crude-oil>

ECONOMICS, T. (2022, November 08). *TRADING ECONOMICS*. Retrieved from Chicago wheat futures prices: <https://tradingeconomics.com/commodity/wheat>

ECONOMICS, T. (2022, November 08). *TRADING ECONOMICS*. Retrieved from statistical indicators of the countries: <https://tradingeconomics.com/>

Georgia, N. B. (2022, November 08). *National Bank of Georgia*. Retrieved from National Bank of Georgia, Interactive statistic, external trade: https://analytics.nbg.gov.ge/views/External_Trade_GE/sheet0?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no

HOUSE, T. W. (2022, MaRCH 08). *ACT SHEET: United States Bans Imports of Russian Oil, Liquefied Natural Gas, and Coal*. Retrieved from THE WHITE HOUSE: <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/03/08/fact-sheet-united-states-bans-imports-of-russian-oil-liquefied-natural-gas-and-coal/>

NATIONAL STATISTICAL OFFICE OF GEORGIA. (2022, November 08). Retrieved from External Trade Portal: <http://ex-trade.geostat.ge/en>

OECD. (2022, November 07). *The impacts and*

policy implications of Russia's aggression against Ukraine on agricultural markets. Retrieved from OECD: <https://www.oecd.org/ukraine-hub/policy-responses/the-impacts-and-policy-implications-of-russia-s-aggression-against-ukraine-on-agricultural-markets-0030a4cd/>

Service, N. S. (2022, November 08). *Service, National Statistics Office of Georgia.* Retrieved from External trade by goods, 2022: <https://www.geostat.ge/media/49204/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1>

%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E

WSJ. (2022, SEPTEMBER 26). *Russia's War in Ukraine to Cost Global Economy \$2.8 Trillion, OECD Says.* Retrieved from THE WALL STREET JOURNAL: <https://www.wsj.com/articles/russias-war-in-ukraine-to-cost-global-economy-2-8-trillion-oecd-says-11664177401>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ეკონომიკაში და მათი სტიმულირების მექანიზმი

ალიმ ხერხაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტი, დოქტორანტი
alimi.kherkhadze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები; ეკონომიკური ზრდა; კაპიტალი; მშპ; ტექნოლოგიური სიახლე.

J.E.L. classification: E220, F620, O140

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.03>

ციტირებისთვის: ხერხაძე ა., (2022) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ეკონომიკაში და მათი სტიმულირების მექანიზმი. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 104–116. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.03>

ანოტაცია. სტატიაში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტიპები, საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა და მაკროეკონომიკური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები. გაანალიზებულია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლები და დინამიკა წლების მიხედვით. მიმოხილულია საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების ხელშეწყობი და ხელის შეშლელი ფაქტორები და ნაჩვენებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ურთიერთქმედება მშპ-ს ზრდასთან. განხილულია პირდაპირ უცხოური ინვესტიციებზე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ეფექტი.

შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში, ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტორები გამუდმებით ეძებენ თავიანთი კაპიტალის დაბანდებისთვის ხელსაყრელ პირობებს,

რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის ერთობლიობას გულისხმობს. ინვესტორი, რომელიც ორიენტირებულია მინიმალური დანახარჯით მაქსიმალური მოგების მიღებაზე, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე შეისწავლის მიმღები ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, გასაღების მსხვილ ბაზრებთან სიახლოვეს, ინვესტიციის მიმღები ქვეყნიდან საერთაშორისო ბაზრებზე შესვლის ბარიერებს, საწარმოო და ენერგორესურსების ხელმისაწვდომობას, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დონეს, სამუშაო ძალის რიცხოვნობას, კვალიფიკაციას და ა.შ. თანამედროვე მსოფლიოში ინვესტიციების კუთხით ორი სახის ტენდენცია გამოიკვეთა:

1. მაკროეკონომიკური ინვესტიციები, რომლებიც ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში თავსდება, რაც განპირობებულია განვითარებული ქვეყნის ინტელექტუალური რესურსით, გასაღების ბაზრითა და ბიზნესის განვითარების კარგი შესაძლებლობებით.

2. ინვესტიცია, რომელიც იაფი რესურსებისა და სამუშაო ძალის ხარჯზე ორიენტირებულია მაქსიმალური მოგების მიღებაზე და მასში არანაირი ან მინიმალური ტექნიკური სიახლეა. (Dunning, 2008)

უცხოური ინვესტიციები ცვლიან ქვეყანაში არსებულ ეკონომიკური აქტივობის დონეს, ზრდიან დასაქმებას, მოხმარებასა და ზოგადად ეკონომიკას. ინვესტიცია შეიძლება იყოს კერძო, საოჯახო, შერეული ან სახელმწიფო.

ეკონომიკისა და პოლიტიკის განუყოფლობიდან გამომდინარე, ინვესტიციები ზოგჯერ ერთი ქვეყნის მიერ მეორეზე პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტადაც გამოიყენება. ამიტომ, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოშობის ადგილის მიხედვით საინვესტიციო ნაკადების დივერსიფიკაციას, რათა სახელმწიფომ ეკონომიკური სუვერენიტეტი არ დაკარგოს, ან ინვესტორი ქვეყნის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი ინვესტიციის მიმღებ ქვეყანაზეც არ გავრცელდეს (გელაშვილი, 2000).

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს, რომელიც არა მხოლოდ მოგების მიღებაზე იქნება ორიენტირებული, არამედ უზრუნველყოფს ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას და დასაქმებულთა სოციალურ დაცვას. განვითარებული ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარებად ქვეყნებში შესვლას თან სდევს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შეტანაც, რაც გარკვეულწილად ცვლის სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნის კონფიგურაციას ხარისხობრივ ჭრილში, ადგილობრივი მოსახლეობის მენტალურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობას. სახელმწიფო ბიუჯეტში იზრდება გადასახადებით მიღებული შემოსავლები, თუმცა ზოგჯერ კოტრდება ჩანასახში მყოფი ადგილობრივი კონკურენტი წარმოებები, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ისინი ვეღარ წვევენ ხარისხობრივ, ტექნოლოგიურ და ფინანსურ კონკურენციას. (გრეჰემი, 1999)

პირითადი ნაწილი

პოსტ-საბჭოთა რყევების შემდეგ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების წყალობით საქართველო გახდა უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ადგილი, თუმცა სამუშაო ძალის სიმცირიდან და დაბალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე,

ქვეყანაში იაფ რესურსებსა და მუშახელზე ორიენტირებული ინვესტიციები უფრო შემოდის, ვიდრე მაღალტექნოლოგიური. შედარებით მსხვილი, მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის, ქვეყნის სამუშაო ძალის სიმცირისა და შედარებით დაბალი კვალიფიკაციის გარდა, ენერგოდამოუკიდებლობის დაბალი დონე, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, ზოგადად პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილური რეგიონი (ცხინვალის, აფხაზეთი, ყარაბაღის რეგიონები), აგრესიული სახელმწიფოს-რუსეთის ფედერაციის მეზობლობა და პოტენციური შეიარაღებული კონფლიქტების მაღალი ალბათობა. დადებითი ფაქტორები, რის გამოც საქართველო მიმზიდველია უცხოური ინვესტორებისთვის, არის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ზღვაზე გასასვლელით, ზომიერი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, კორუფციის დაბალი დონე, სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად ბიუროკრატიული და მარტივი კანონმდებლობა, საერთაშორისო კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მაღალი დონე, 2014 წელს ევროკავშირთან და 2017 წელს ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, რომლებიც უცხოურ ინვესტორს საშუალებას აძლევს საქართველოს სახელით წარმოებული პროდუქცია უპრობლემოდ გაიტანოს მსოფლიოს ორ უმსხვილეს ბაზარზე. დამოუკიდებლობის პირველ წლებში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა მეტწილად უცხოური ინვესტიციების წყალობით შერბილდა, რომელიც განპირობებული იყო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით, როდესაც საქართველოზე რეგიონული მნიშვნელობის ნავთობსადენებმა გაიარა. (ხარხერაული, 2013)


იქედან გამომდინარე, რომ ეკონომიკის ასამუშავებლად წარმოების ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - „კაპიტალია“ საჭირო და ეს ამ ეტაპზე ქვეყანას არ გააჩნია, საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნებში შედარებით დაბალია შიდა დანაზოგების დონე. საბანკო სისტემის გარდა არ არსებობს ისეთი ფინანსური ინსტიტუტი (საფონდო ბაზარი), რომელიც ფრაგმენტულად არსებულ მინიმალურ დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს თავს მოუყრიდა და ბანკებთან შედარებით მაღალ სარგებელს მოუტანდა ამ თანხების მფლობელებს, თავისუფალ ფულად სახსრებს კი საბანკო პროცენტთან შედარებით ნაკლები განაკვეთით მიმართავდა საწარმოო სექტორისკენ. ქვეყანასა და მსოფლიოში (პოსტ პანდემიური პერიოდი და მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში მიმდინარე უდიდესი, რუსეთ-უკრაინის ომი) არსებული რყევებით გამოწვეული რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში ფულის ფასი წარმოუდგენლად დიდია (2021 წელს: წლიური ინფლაცია 9,6%, რეფინანსირების განაკვეთი - 10,5%), ბიზნესს აქვს ფინანსური შიმშილი. თანაფარდობა M2/GDP არ აღემატება 25 პროცენტს, რაც ეკონომიკის და მისი ფინანსური სისტემის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელ დონეს, სულ ცოტა, 15-20 პუნქტით ჩამორჩება. თუ გვსურს განვითარებული ეკონომიკა ამისთვის საჭიროა კაპიტალი, რასაც განვითარებული ეკონომიკა ქმნის. საქართველოს მთლიან ექსპორტში, უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საექსპორტო პროდუქციის წილი ნახევარზე მეტია, თუმცა ეს პროდუქცია შექმნილია

არა მაღალტექნოლოგიური ინვესტიციებით, არამედ იაფი სამუშაო ძალის გამო შემოსული ინვესტიციებით, რომელთა წამოებასაც მნიშვნელოვანი ცოდნა არსჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დასაძლევად და რთული ეკონომიკური სიტუაციის შესამსუბუქებლად, სამუშაო ძალის სიახვის გამო შემოსული ინვესტიციებიც მნიშვნელოვანია, ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარების გადასახედიდან გამომდინარე, მხოლოდ ამ ტიპის ინვესტიციებზე დამოკიდებულებით, შესაძლოა განვითარებადი ქვეყანა გრძელვადიან პერსპექტივაშიც განვითარებადად განწირული და განვითარებული ქვეყნების სანედლეულო ან მუშახელის ბაზად დარჩეს. მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა განათლების სფეროში (პროფესიული და უმაღლესი) ამჟამინდელთან შედარებით გაცილებით მეტი დაბანდებები და მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი მაღალტექნოლოგიური პროფესიების სწრაფად ათვისება, რაც თავისთავად გამოიწვევს როგორც ადგილობრივ დონეზე ტექნოლოგიური სიახლეების წარმოშობას, აგრეთვე მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების შემოსვლასაც და, რათქმაუნდა, სოციალურ-ეკონომიკური დონის ნახტომისებურ გაუმჯობესებას. (სიხარულიძე, 2012)

დიაგრამა 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით (2007-2021 წლები) (მლნ აშშ \$)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhuri-investitsiebi>)

ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში გაკეთდა, ვინაიდან ეს დარგები ახლა ვითარდება. შემდეგი ყველაზე მსხვილი სფერო საფინანსო სექტორია. საფინანსო სექტორის ეს მაჩვენებელი განპირობებულია, იმით რომ მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა უცხოური კაპიტალითაა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ არ უნდა აიღოს ორიენტირი გახდეს აგრარული ქვეყანა, სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები მინიმალურია და ჩვენი სასურსათო უსაფრთხოება ფაქტობრივად იმპორტზეა დამოკიდებული. სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე დიდი ალბათობით გამოწვეულია მცირემიწიანობით, უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვით და რეგისტრირებული მიწების ფრაგმენტაციით. დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორებში ინვესტიცია მნიშვნელოვნად მცირეა და არსებული ვითარება სწრაფ გამოსწორებას საჭიროებს.

1996-2021 წლებში საქართველოში ჯამურად დაახლოებით 23,12 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. პირველი და ერთადერთი ინვესტორი ქვეყანა 1996 წელს უკრაინა იყო 3753,45 ათასი აშშ დოლარით. მომდევნო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ინვესტიციები გაკეთდა აშშ-დან (1,81 მლრდ აშშ დოლარი), ევროკავშირიდან, დსთ-ს ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. ბოლო მონაცემებით, საქართველოში უცხოური ინვესტიცია 74 ქვეყნიდანაა შემოსული, რაც თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება იმ ქვეყნების რაოდენობას, ვისთანაც საქართველო სავაჭრო ურთიერთობებს (ექსპორტ-იმპორტი) აწარმოებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორები ევროკავშირის ქვეყნები არიან (7,06 მლრდ აშშ დოლარი), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გამოხატულ ინტერესსა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის


კანონმდებლობასთან მზარდ ჰარმონულობაზე. ევროკავშირის ქვეყნებს შორის 1996-2021 წლებში საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორები იყვნენ ნიდერლანდები (2,68 მლრდ აშშ დოლარი), ჩეხეთი (882,2 მლნ აშშ დოლარი), ლუქსემბურგი (844,44 მლნ აშშ დოლარი), გერმანია (474,81 მლნ აშშ დოლარი) და ავსტრია (359,99 მლნ აშშ დოლარი). ნიდერლანდებზე უფრო მეტად საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორები არიან: გაერთიანებული სამეფო (3,29 მლრდ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (2,81 მლრდ აშშ დოლარი). დსთ-ს ქვეყნებიდან აზერბაიჯანის შემდეგ მე-2 ადგილზეა რუსეთი (915,47 მლნ დოლარი), მე-3 ადგილზე კი - ყაზახეთი (267,36 მლნ აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის წილი დსთ-ს ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციების (4,24 მლრდ აშშ დოლარი) ნახევარზე მეტია. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების წილს, 1998-2021 წლებში საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებმა 339,13 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელეს.

2003 წლიდან ინვესტიციების ზრდას შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა, თუმცა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის მიერ საქართველოზე სამხედრო თავდასხმამ ეს მაჩვენებელი მკვეთრად შეამცირა და ომამდელი მაჩვენებლის აღდგენას 6 წელი დასჭირდა. ამასთან, 2017 წლიდან საქართველოში უცხოურ ინვესტიციებს კლების ტენდენცია ახასიათებს. ინვესტიციების კლების კუთხით, განსაკუთრებით გამორჩეული იყო პანდემიური 2020 წელი. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირის ბაზარზე წვდომის სურვილით უცხოური ინვესტიციები უნდა გაზრდილიყო, 2017 წლამდე მათი მოცულობა მცირდებოდა. 2017 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი დონე - 1,98 მილიარდი აშშ დოლარი დაფიქსირდა. ამავე წელს მოეწერა ხელი საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი

ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, რასაც აგრეთვე ჩინეთის ბაზარზე წვდომის სურვილით უცხოური ინვესტიციები უნდა გაეზარდა, თუმცა ქვეყანა 2017 წელს განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დონეს აღარ დაბრუნებია. მეტიც, 2018-2021 წლებში საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2009-2013 წლების შემდეგ ასე დაბალი არასოდეს ყოფილა. 2017 წლიდან ინვესტიციები შემცირდა დსთ-ს ქვეყნებიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, თუმცა ზრდის ტენდენცია აქვს დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებულ ინვესტიციებს. ზრდისა და კლების ტენდენციების ანალიზისას საერთო სურათის აღსაქმელად 2020 წლის მონაცემები არ უნდა გავითვალისწინოთ, ვინაიდან ეს პანდემიური წელი თავისი არსით

ატიპიური იყო საყოველთაო ჩაკეტვებიდან და ეკონომიკური აქტივობის შენელებიდან გამომდინარე. დარგების მიხედვით, ინვესტიციების კლება თითქმის ყველა სფეროში შეინიშნება, თუმცა ყველაზე მეტად გამორჩეულია მშენებლობა, უძრავი ქონება, ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა (თუმცა 2021 წელს წინა სამ წელთან შედარებით გაიზარდა), სასტუმროებისა და რესტორნების სფერო, ტრანსპორტი. მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება დანარჩენ სექტორებში როგორცაა ვაჭრობა, განათლება, კომუნალური, პერსონალური მომსახურება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება. 2017 წლის მონაცემებთან შედარებით, 2021 წელს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ინვესტიციები საფინანსო სექტორში (ჭარაია 2015).

დიაგრამა 2
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 1996-2021 წწ.
(ქვეყნებისა და წლების მიხედვით)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>)

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2015 წლის მუდმივი ფასებით 1996-2021 წლებში საქართველოს ჯამური მშპ შეადგენდა 294,84 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო ამავე პერიოდში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების ჯამური მოცულობა 23,12 მლრდ დოლარია, ანუ მათ შორის ფარდობა დაახლოებით 12,75/1. გრაფიკიდან ჩანს, რომ მშპ-ს ზრდისა და უცხოური ინვესტიციების მოცულობის მრუდები

სინქრონულად მიუყვებიან ერთმანეთს, რაც ეკონომიკის ზრდაში უცხოური ინვესტიციების პოზიტიურ როლზე მეტყველებს. მოცემული ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხოურ ინვესტიციებს გავლენა აქვთ საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, ვინაიდან მათი შემოდინებით ან გადინებით შესაბამისად იცვლება ექსპორტ-იმპორტი, დასაქმების დონე, ხელფასები, წარმოება, მოხმარება და ბიუჯეტის საგადასახდლო შემოსავლები.

დიაგრამა 3

საქართველოს მშპ 2015 წლის მუდმივ ფასებში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>); მსოფლიო ბანკი (<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD?locations=GE>)

ცხრილი 1

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2000-2020 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2000	2005	2010	2015	2020
უცხოური ინვესტიციები	131.232	452.752	865.638	1728.758	571.963
მშპ 2015 წლის მუდმივ ფასებში	6387.071	9091.078	11741.49	14953.95	16557.390
პუი/მშპ, %	2.05	4.98	7.37	11.56	3.45

ცხრილიდან და გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა მშპ-ს ზრდას იწვევს, თუმცა მშპ-ში მათი მოცულობა ჯერაც დაბალია. წარმოდგენილი

ცხრილიდან მხედველობაში არ უნდა მივიღოთ პანდემიური 2020 წელი, ვინაიდან სოციალური მიზნებიდან გამომდინარე მშპ-ში მთავრობის ხარჯების წილი მეტი იყო, ხოლო პირდაპირი

უცხოური ინვესტიციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მაქსიმალურად შენელებული. (კვარაცხელია, 2007)

2013 წლის 31 დეკემბერს ძალაში შევიდა 2011 წელს მიღებული „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. იგი ერთი მხრივ, აწესრიგებს გადასახადის გადამხდელებისგან მისაღები თანხის ზღვარს - საშემოსავლო, მოგების, დღგ-სა და იმპორტის გადასახადების საგადასახადო განაკვეთების ზრდის სურვილის შემთხვევაში საჭიროა რეფერენდუმის გზით მოქალაქეთა თანხმობა და მეორე მხრივ, კონტროლდება აკრედიტირებული გადასახადების ხარჯვის მოცულობა დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრებით. მარტივად რომ ვთქვათ, ეს კანონი არის მოსახლეობის მიერ დაქირავებული მთავრობისთვის ინსტრუქცია, თუ რა ფარგლებში შეუძლიათ აკრიფონ გადასახადები და მაქსიმუმ, რა რაოდენობის ვალი შეუძლია მთავრობას აიღოს საკუთარი ფუნქციების განსახორციელებლად. კანონი მთავრობას ეუბნება, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში, ოპტიმალური გადაწყვეტილებებით უნდა მართოს სახელმწიფო. კანონის მიღება საკმაოდ პროგრესული გადაწყვეტილება იყო. ეს ნიშნავდა სტაბილურობის შეგრძნების გამჩენ სერიოზულ განაცხადს მოსახლეობისა და ინვესტორებისთვის, რომ ქვეყანაში არსებული დაბალი გადასახადები დიდხანს შენარჩუნებოდა, შესაბამისად არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს ამ კუთხით რისკი არ შეექმნებოდათ, ვინაიდან ნაკლებად მოსალოდნელია მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს გადასახადების ზრდას. კანონი ზღუდავდა უკონტროლო ვალის აღებას და სახელმწიფო ხარჯების ზრდას.

კანონის მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუ მთავრობა

მოისურვებს გადასახადის დროებით, არაუმეტეს 3 წლით გაზრდას, ამ შემთხვევაში რეფერენდუმში არ ჭირდება. საპენსიო და სადაზღვევო შენატანებზე განმარტებულია, რომ ისინი არ განიხილებიან როგორც გადასახადები. ჩვენი აზრით, ამ კანონში აქციზის გამონაკლისი სახით არსებობა აქციზური საქონლის ბუნებამ და ამ სახის საქონლისადმი დამოკიდებულების სწრაფად ცვლის ალბათობამ გამოიწვია და არა იმ ფაქტმა, რომ მთავრობას აქციზის ზრდა ბიუჯეტის დეფიციტის შემთხვევაში, სხვა გადასახადების არგაზრდის ხარჯზე გამოეყენებინა. აქციზის გადასახადი დაბეგვრის პრინციპის მიხედვით მრავალი სახეობის საქონელზე მკვეთრად განსხვავებულია. აქციზით იბეგრება არა პირველადი მოხმარების სქონელი და სახელმწიფო მიზნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის, ექსპორტის ხელშეწყობის, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღებისა თუ ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა საჭირო გახდეს რომელიმე აქციზური საქონლის მოხმარების საგადასახადო ინსტრუმენტით შეზღუდვა.

ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო დატვირთვა არ უნდა გაზრდილიყო, თუმცა მთავრობამ ისარგებლა კანონში არსებული ჩანაწერით და 2017 წელს აქციზის განაკვეთი მკვეთრად გაიზარდა ავტომობილებზე (მარჯვენა საჭიანი ავტომობილების აქციზი გაორმაგდა), საწვავსა და თამბაქოს ნაწარმზე. აგრეთვე გაიზარდა ქონების გადასახადი, ვინაიდან იგი საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადს არ განეკუთვნება. 2017 წლის 1 იანვრიდან, როდესაც ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 500 მლნ ლარით ნაკლები შევიდა. დანაკლისის შესავსებად ან მთავრობის ხარჯები უნდა შემცირებულიყო, ან ვალი უნდა აგველო და ან გადასახადები უნდა გაზრდილიყო. 2017 წელს მთავრობის ხარჯები 800 მილიონი ლარით გაიზარდა, დამატებით ავიღეთ 400 მილიონი ლარის ვალი და გაიზარდა აქციზისა და ქონების გადასახადის განაკვეთებიც,

რომლის მიხედვითაც თუ ოჯახს წლიური შემოსავალი 40000 ლარზე მეტი ექნებოდა, ქონების გადასახადს უკვე ავტომობილზეც გადაიხდიდა. 2013 წელს ეკონომიკა წინა წელთან შედარებით 3,6%-ით გაიზარდა, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2011 წელს 7,4%, ხოლო 2012 წელს 6,4% იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მთავრობის ხარჯები წლიდან წლამდე იზრდება. სუსტი ეკონომიკის პირობებში საგადასახადო შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტში საკმარისი თანხების მობილიზებას და ამიტომ 2013 წლიდან, როდესაც მთავრობის საგარეო ვალი 7 მლრდ ლარი იყო, 2021 წლის მაისის მდგომარეობით საგარეო ვალი 24,8 მლრდ ლარამდეა გაზრდილი და უკვე დარღვეული აქვს ის მაკროეკონომიკური პარამეტრი, რომელიც

მითითებულია ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონში (მთავრობის ვალი არ შეიძლება აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს). ჩვენი აზრით, «ეკონომიკური თავისუფლების შესახებ» კანონი გადასახადის გადამხდელთა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის კარგი დოკუმენტია, ვინაიდან ახალგაზრდა დემოკრატიის ისეთ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ დიდია მთავრობის ცდუნება ვიწროპოლიტიკური და მოკლევადიანი გათვლებიდან გამომდინარე, უკონტროლოდ გაიზარდოს გადასახადის ყველა სახე, რაც ისედაც ღარიბ ქვეყანას კიდევ უფრო გაადარბებს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში გადასახადების ზრდა საგადასახადო ბაზის შემცირებას, შავი ბუღალტერიის ზრდას და ეკონომიკის მოშლას იწვევს.

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) საქართველოში 2011-2021 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
პუი	1130	1050	1040	1840	1730	1650	1980	1320	1340	570	1150

2011 წლიდან, კანონის მიღებიდან, 2013 წლამდე როდესაც კანონი ძალაში შევიდა, პირაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ გაზრდილა, პირიქით - შემცირდა კიდევ, თუმცა ეს შეიძლება დავაბრალოთ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებით გამოწვეულ სიფრთხილეს. - სავარაუდოდ ინვესტორების დააკვირდნენ ქვეყნის პოლიტიკური ვექტორის ცვლილების შესაძლებლობას. 2013 წლის დეკემბერში, როცა კანონი ძალაში შევიდა, ინვესტიციების მოცულობა ნახტომისებურად გაიზარდა და ეს დინამიკა 2017 წლამდე გაგრძელდა, სანამ გადასახადები გაიზრდებოდა. 2018 წლიდან კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა თითქმის 2011 წლის დონემდე დაეცა და კოვიდ პანდემიური 2020 წელი რომ არ გავითვალისწინოთ, კლება 2021 წელსაც გაგრძელდა, როცა კანონით გათვალისწინებული

მაკროეკონომიკური პარამეტრი დაირღვა, რომლის მიხედვითაც მთავრობის ვალი არ შეიძლება აღემატებოდეს მშპ-ს 60% -ს.

მნიშვნელოვანი ყურადღებაა გასამახვილებელი საქართველოში შექმნილ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე (თიზ). გარკვეულწილად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მათი შექმნით ქვეყანამ დანარჩენ ტერიტორიაზე ინვესტიციური შიმშილი განიცადა და დაკარგა საბიუჯეტო შემოსავლები. საქართველო დაბალი საგადასახადო ტვირთით ერთ-ერთი მოწინავეა და არ შეიძლება თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ყველა ტიპის ინვესტიციისთვის იყოს ღია. დღეის მდგომარეობით თიზ-ებში განთავსებულია ტექნოლოგიური სიახლეებით არც თუ ისე გამორჩეული კომპანიები და კრიპტომანიერები, რომლებიც კოლოსალური რაოდენობის ელექტროენერჯიას მოიხმარენ

და ზრდიან ენერგო დეფიციტს. ჩვენი აზრით, სახელმწიფოში შექმნილი თიხ-ები მხოლოდ ისეთი უცხოური ინვესტიციებისთვის უნდა იყოს ღია, რომელიც ტექნოლოგიურ სიახლეზეა დაფუძნებული და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას კონკურენტულ უპირატესობას მოუტანს მსოფლიო ბაზარზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის კონკურენტული უპირატესობები, რაც უცხოურ ინვესტორთა ყურადღებას მიიქცევს. ქვეყანას, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს რეგიონულ და მსოფლიო მნიშვნელობის დერეფანს, ჯერ კიდევ ბოლომდე გამოყენებული არ აქვს თავისი სატრანსპორტო ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სარკინიგზო (ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა) ასევე საზღვაო (ბათუმი, ფოთი) ტვირთების მობილიზების კუთხით გარკვეულ მცდელობებს აქვს ადგილი. საქართველოში არსებული სარკინიგზო, საზღვაო და საგზაო ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. ამ დრომდე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დაკარგულ შესაძლებლობად შეგვიძლია მივიჩნიოთ ანაკლიის პორტთან დაკავშირებული სიტუაცია, რომელიც 2022 წლისთვის მინიმუმ სატესტო რეჟიმში მაინც უნდა ყოფილიყო გაშვებული და გაურკვეველი პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამოა გაყინული. ამ დაკარგულ შესაძლებლობას აგრეთვე ემატება პოტენციურად დაკარგული ტვირთების ნაკადი, რომლებიც 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და რუსეთზე დაკისრებული სანქციების შემდეგ, ალტერნატიული მარშრუტების ძიებაშია. ჩინეთსა და ევროკავშირს შორის ტვირთბრუნვის ნაკადები, რუსეთის სასანქციო იზოლირების შემდეგ, სამხრეთ დერეფანში გადმოინაცვლებს.

განვითარებადი ქვეყნები განვითარებადიდან - განვითარებამდე გზის

გავლისას ინსტიტუციურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციასთან ერთად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც პრიორიტეტებს ცვლიან, რაც მოზიდული უცხოური ინვესტიციების რაოდენობრივ, ხარისხობრივ და მოცულობით მაჩვენებლებზეც აისახება. თუ თავდაპირველად განვითარებადი ქვეყნები უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველია იაფი რესურსებისა და მუშახელის გამო, ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება ხელფასები, იცვლება სამომხმარებლო ბაზრის სტრუქტურა, მოთხოვნა და კონფიგურაცია. შესაბამისად, იაფ მუშა ხელს აღარ აკმაყოფილებს „ძველი და დაბალი ხელფასი“ და იაფი რესურსების მაძიებელი ინვესტორისთვის თავდაპირველის მსგავსი მიმზიდველი აღარაა ქვეყანა. შესაბამისად, მცირდება ან საერთოდ ქრება მსგავსი ტიპის ინვესტიციები (ტანსაცმლის მსოფლიო ბრენდები, რომელთა პროდუქციის წარმოებას განსაკუთრებული ტექნოლოგიური სიახლეები არ სდევს, თან უმეტესად სამხრეთ აზიის განვითარებად ქვეყნებში იწარმოება). აღნიშნულის საპირისპიროდ, გაზრდილ ხარისხობრივ და სამომხმარებლო მოთხოვნებს სახელმწიფომ უნდა დაუპირისპიროს უფრო მეტად მეცნიერებადტევადი და კაპიტალტევადი ინვესტიციების მოზიდვა, რისთვისაც ქვეყანაში მომზადებული უნდა იყოს შესაბამისი მაღალკვალიფიციური მუშახელი, ინფრასტრუქტურული და საკანონმდებლო ბაზა. უცხოური ინვესტიციას, რომელიც მეცნიერებად ტევადია და ტექნოლოგიური სიახლე ახლავს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნები აქვს, ვიდრე იაფი მუშა ხელი და რესურსებია. ამ ეტაპზე უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლას ხელს უშლის საბანკო სესხის მაღალი პროცენტები, განუვითარებელი საფონდო ბაზარი, კონფლიქტური რეგიონები (რუსული აგრესია მთელს რეგიონში ამწვავებს სიტუაციას და უარყოფით მოლოდინებს აჩენს), სამუშაო ძალის სიმცირე და დაბალი კვალიფიკაცია, ენერგოდამოუკიდებლობის დაბალი დონე. ამ პრობლემათაგან რამდენიმე რთული გამოწვევაა

და სახელმწიფოს საკუთარი ძალებით დაძლევა უახლოეს მომავალში გაუჭირდება. რაც შეეხება საფონდო ბაზრის განვითარებას, განათლების რეფორმას და ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას, მათ გადასაჭრელად საკმარისია შესაბამისი პოლიტიკური ნება და მცირე ძალისხმევა. (De Mello, 1999)

ჩვენი აზრით, საქართველო ბუნებრივად უკვე ტოვებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის იმ ნიშას, რის მიხედვითაც ის მხოლოდ იაფი მუშახელისა და რესურსების გამო იყო მიმზიდველი. მართალია ევროკავშირისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებთან შედარებით, ჩვენი ქვეყნა კიდევ რამდენიმე წელი დარჩება რესურსებითა და მუშა ხელით იაფი და ნაკლებ კვალიფიციური, მაგრამ ჩვენ ყველანაირად უნდა ვცადოთ მოვიზიდოთ მაღალტექნოლოგიური უცხოური ინვესტიციები, რაც მომავალში ადგილობრივი ტექნოლოგიური სიახლეების წარმოშობასაც შეუწყობს ხელს. ზღვაზე გასასვლელი (აუცილებელია საზღვაო პორტების მოდერნიზება), ზომიერი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, კორუფციის შედარებით დაბალი დონე (2021 წელს 180 ქვეყანას შორის საქართველო 45-ე ადგილს იკავებს 55 ქულით კორუფციის აღქმის ინდექსში), რეფორმატორი ქვეყნის სახელი, სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად ბიუროკრატიული და მარტივი კანონმდებლობა, საერთაშორისო კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მაღალი დონე, ევროკავშირთან და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, ბიზნესის დაწყებისა და კეთების სიმარტივე, ქონების რეგისტრაციის სიმარტივე, მცირე გადასახადები ის უპირატესობებია, რომლებსაც უცხოელ ინვესტორებამდე სწორად მიტანის შემთხვევაში აუცილებლად მოუტანს საქართველოს მსხვილ ტექნოლოგიურ სიახლეებზე დაფუძნებულ უცხოურ ინვესტიციებს. ეს გაზრდის ეკონომიკას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და ხარისხს, ახალ პრიორიტეტებს გააჩენს განათლებაში და ქვეყნას მიწოდების მსოფლიო ჯაჭვში მნიშვნელოვან ადგილს დაუმკვიდრებს.

ლიტერატურა

1. გელაშვილი მ., (2000), ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება როგორც სოციალური მოვლენა. („საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“).
2. გრეკემი ე., (1999), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. „ეკონომიკური რეფორმები დღეს“, №1.
3. კვარაცხელია დ., (2007), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები, „სოციალური ეკონომიკა“, №2
4. სიხარულიძე დ., (2012), „უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე), ეკონომიკა და ბიზნესი, №6, თბილისი
5. ჭარაია ვ., (2015) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი. URL: https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf (ხელმისაწვდომია 11.10.2022)
6. ხარხერაული ხ. (2013), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
7. De Mello, L.R. (1999), Foreign direct investment-led growth: Evidence from time series and panel data, Oxford Economic Papers, 51, 133-151, Economist, “Just Awful”, Issue 7798 (February 13, 1993).
8. Dunning, J. (2008), Institutional reform, FDI and the location competitiveness of European transition economies, in Dunning, J.H. and Gugler, P. (eds.), Foreign direct investment, location and competitiveness, Elsevier, Oxford.

THE ROLE OF FORING DIRECT INVESTMENTS IN THE ECONOMY AND THEIR STIMULATION MECHANISM

Alim Kherkhadze

Affiliated Assistant, Doctoral student of Kutaisi
University, Georgia
alimi.kherkhadze@unik.edu.ge

KEY WORDS: Investments; Economic Growth; capital; GDP; Technological innovation

J.E.L. classification: E220, F620, O140
DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.03>

For citation: Kherkhadze A. (2022) The role of foreign direct investments in the economy and their stimulation mechanism (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 104-116. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.03>

Summary

In the era of globalization, the attraction of foreign investments has become an important factor in promoting the economic growth of countries. Investors are constantly looking for favorable conditions for investing their capital, which involves a combination of several important factors. The investor, who is focused on getting the maximum profit with the minimum cost, before making an investment decision, will study the investment environment of the host country, the proximity to large key markets, the barriers to entry from the host country to international markets, the availability of production and energy resources, the level of political and economic stability, the number of labor force, qualifications, etc. .sh. In terms of investments in the modern world, two types of trends have been identified:

1. High-tech investments, which are mainly located in developed countries, due to the developed country's intellectual resources, key market and good opportunities for business development, and
2. Investment, which is focused on obtaining

maximum profit at the expense of cheap resources and labor force, and there is no or minimal technical innovation in it.

It is important for the state to attract such direct foreign investments, which will not only be focused on making profits, but will also ensure the raising of the qualifications of local staff, the introduction of technological innovations, and the social protection of employees.

Thanks to the economic reforms implemented after the post-Soviet upheavals, Georgia has become an attractive place for foreign investment, however, due to the shortage of labor force and low qualifications, investments focused on cheap resources and labor force are entering the country more than high-tech ones. The entry of relatively large, high-tech investments is hindered, in addition to the scarcity of the country's workforce and relatively low qualifications, the low level of energy independence, the territories occupied by the Russian Federation of Georgia, the generally politically and economically unstable region (Tskhinvali, Abkhazia, Karabakh regions), the aggressive state - the Russian Federation. Neighborhood and high probability of potential armed conflicts. The positive factors that make Georgia attractive for foreign investors are a favorable geopolitical location with land access, moderate natural and climatic conditions, low level of corruption, less bureaucratic and simple legislation compared to other countries, high level of harmonization of national legislation with international legislation, with the European Union in 2014 and in 2017 Free trade agreements signed with China, which allow a foreign investor to export products produced on behalf of Georgia to two of the world's largest markets without any problems.

Due to the fact that one of the most important factors of production - «capital» - is needed to develop the economy, and the country does not have it at this stage, attracting foreign investments is a vitally important task for the economic growth of Georgia. In developing countries like Georgia, the level of domestic savings is relatively low. In addition to

this, apart from the banking system, there is no stock market.

In the period 1996-2021, a total of about 23.12 billion dollars of investment came into Georgia. The first and only investor country in 1996 was Ukraine with 3753.45 thousand US dollars. In the following years, significant investments were made in Georgia from the USA (1.81 billion USD), the European Union, CIS countries and Great Britain. According to the latest data, foreign investment has entered Georgia from 74 countries, which is almost 2 times less than the number of countries with which Georgia has trade relations (export-import).

Since 2003, the growth of investments had an irreversible character, however, the 2008 world economic crisis and Russia's military attack on Georgia sharply reduced this figure, and it took 6 years to restore the pre-war figure. In addition, since 2017, foreign investments in Georgia have been characterized by a decreasing trend. Pandemic year 2020 was particularly notable in terms of investment decline. Despite the fact that after the signing of the Georgia-EU association in 2014, foreign investments should have increased due to the desire to access the EU market, until 2017, their volume was decreasing. In 2017, in the history of independent Georgia, the largest level of foreign investments - 1.98 billion USD was recorded. In the same year, the agreement on free trade between Georgia and China was signed, which should also increase foreign investments due to the desire to access the Chinese market, although the country has not returned to the level of foreign investments made in 2017.

On December 31, 2013, the Organic Law of Georgia «On Economic Freedom» adopted in 2011 entered into force. The law, on the one hand, regulates the limit of the amount acceptable from taxpayers - in case of the desire to increase the tax rates of income, profit, VAT and import taxes, citizens' consent is required through a referendum, and on the other hand, the amount of spending of collected taxes is controlled by the limits of the established macroeconomic parameters.

After the implementation of this law, the tax burden

of taxpayers was not supposed to increase, but the government took advantage of the loophole in the law and in 2017 the excise duty rate was sharply increased on cars (the excise duty on right-hand drive cars was doubled), fuel and tobacco products. The property tax has also been increased, since it does not belong to the general state tax. Since January 1, 2017, when the Estonian model of profit tax came into force, the state budget received about 500 million GEL less. To make up the deficit, either government spending had to be cut, or debt had to be incurred, or taxes had to be raised. In 2017, the government's expenses increased by 800 million GEL, we took on a debt of 400 million GEL, and the excise and property tax rates were also increased, according to which if the family had an annual income of more than 40,000 GEL, they would have already paid property tax on the car.

As of May 2021, the foreign debt has increased to 24.8 billion GEL and has already violated the macroeconomic parameter written in the Law on Economic Freedom, according to which the government's debt cannot exceed 60% of GDP.

From 2011, when the law was adopted, until 2013, when the law entered into force, the volume of direct foreign investments did not increase, on the contrary - it even decreased, although this can be blamed on the caution caused by the change of government in 2012. - Investors are likely to observe the possibility of a change in the country's political vector. When the law came into force in December 2013, that is, in fact from 2014, the volume of investments increased by leaps and bounds, and this dynamic continued until 2017, when taxes were increased. Since 2018, the volume of direct foreign investments has dropped almost to the level of 2011.

Based on all of the above, we believe that in order to attract foreign investments, Georgia should make maximum use of those competitive advantages that will attract the attention of foreign investors. The country, which has historically been a corridor of regional and world importance, has yet to fully utilize its transport function.

References

1. Gelashvili M., (2000), Investment Decision Making as a Social Event. see “Problems of formation and functioning of market economy in Georgia”
2. Graham E., (1999), Foreign Direct Investment and Trade. “On the Day of Economic Reforms” No. 1
3. Kvaratskeli D., (2007), Foreign Direct Investments in the Georgian Economy: Trends, Results and Prospects, Social Economy, N2
4. Sikharulidze D., (2012), “Foreign investment motivations and its impact on the economy of Georgia (in English), Economy and Business, No. 6, Tbilisi
5. Charaya V., (2015) The role and importance of foreign direct investments for the economic growth of the country (on the example of Georgia). Dissertation thesis, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business, Tbilisi. URL: https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf (Available 11.10.2022)
6. Kharkherauli Kh. (2013), Prospects of Attracting Foreign Direct Investments in Georgia, Dissertation Thesis, Technical University of Georgia, Tbilisi.
7. De Mello, L.R. (1999), Foreign direct investment-led growth: Evidence from time series and panel data, Oxford Economic Papers, 51, 133-151, Economist, “Just Awful”, Issue 7798 (February 13, 1993).
8. Dunning, J. (2008), Institutional reform, FDI and the location competitiveness of European transition economies, in Dunning, J.H. and Gugler, P. (eds.), Foreign direct investment, location and competitiveness, Elsevier, Oxford.

ტურიზმი და რეგიონების განვითარება

TOURISM AND REGIONAL DEVELOPMENT

ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენის ტენდენციები პოსტკოვიდურ პერიოდში (იმერეთის მაგალითზე)

ციცინო დავითულიანი

გეოგრაფიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, tsitsino.davituliani@unik.edu.ge

მაია აზმაიფარაშვილი

ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, maia.azmaiparashvili@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: იმერეთი; კორონავირუსი; ტურიზმი; ვიზიტორები; სასტუმროები

J.E.L. classification: L83, R1

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.09>

ციტირებისთვის: დავითულიანი ც., აზმაიფარაშვილი მ., (2022) ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენის ტენდენციები პოსტკოვიდურ პერიოდში (იმერეთის მაგალითზე). ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 118-127. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.09>

ანოტაცია. კორონავირუსმა საქართველოს ტურიზმს დარტყა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ნაშრომის მიზანია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკური მასალების შედარებითი ანალიზისა და შესაბამისი ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე დავადგინოთ რამდენად შეცვალა კოვიდ 19-მა მოსალოდნელი შედეგები ტურიზმის სექტორში, მთლიანად ქვეყანაში და იმერეთის რეგიონში. კვლევისათვის გამოყენებულია საქსტატიდან და საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციიდან მოპოვებული მასალა და პანდემიის პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, სადაც მოცემულია COVID-19 ზეგავლენა ტურიზმის

ინდუსტრიაზე. ნაშრომი შესრულებულია სტატისტიკური, შედარებითი ანალიზის და სინთეზის მეთოდების გამოყენებით.

შესავალი

კორონა ვირუსი (COVID-19) მნიშვნელოვან საფრთხედ მოგვევლინა, როგორც გლობალური, ისე რეგიონული ეკონომიკისათვის. პანდემიის ნეგატიურმა ზეგავლენამ მსოფლიოს ეკონომიკაზე შეუქცევადი ხასიათი მიიღო და შეუძლებელი გახადა ზუსტი პროგნოზის გაკეთება დღევანდელ სწრაფად ცვლად გარემოში.

აზიის განვითარების ბანკმა 2021 წლის ანგარიშში საქართველოს ეკონომიკის 12,7%-იანი ზრდა დააფიქსირა – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროში. მიუხედავად არსებული სირთულეებისა დაფიქსირდა საერთაშორისო ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენაც.

ბოლო პერიოდში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან სექტორად იქცა, მასზე მოდიოდა ქვეყნის მშპ-ის 11%. 2019 წელს შემოსული ვიზიტორების

რაოდენობამ 9,3 მლნ-ს გადააჭარბა, რაც წინა 2018 წელს 7,8%-ით აღემატებოდა. ზრდადობა ყოველწლიურად თვალსაჩინო იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წლის პროგნოზით ვიზიტორთა რაოდენობის 10 მლნ-მდე გაზრდას ელოდებოდნენ, მაგრამ პანდემიამ სრულიად შეცვალა მოსალოდნელი პროგნოზები მთლიანად ეკონომიკაში და მათ შორის ტურიზმის სექტორშიც.

ძირითადი ტექსტი

COVID-19-მა ყველაზე ნეგატიური ზეგავლენა სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე მოახდინა ჩაკეტილმა საზღვრებმა და მოგზაურობის შიშმა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ანალიზის მიხედვით, რომელიც პოტენციურ მოდელად 2003 წელს გავრცელებულ პანდემიის SARS-ის სცენარს განიხილავდა, მსოფლიო ტურიზმი ვიზიტორების 1-3%-იან შემცირებას ელოდა, მაშინ როცა 2019 წელს გაკეთებული პროგნოზის მიხედვით ვიზიტორთა რაოდენობა 2020 წელს 3-4%-ით უნდა გაზრდილიყო, რამაც მსოფლიო ტურიზმს ჯამში 30-50\$ მილიარდამდე ზარალი მიაყენა (UNCTAD, 2020).


მსოფლიო ტურიზმის კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოზეც. უკვე 2020 წლის თებერვლის თვეში საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა წინა წლის იგივე მონაცემთან შედარებით 0,7 %-ით შემცირდა. კლება მკვეთრი იყო მარტსა და აპრილშიც -62,3% - 94,5%, რაც დაკეტილი საზღვრებისა და შეჩერებული ფრენების ლოგიკური შედეგი იყო. კლება შემდეგ თვეებშიც გაგრძელდა და ივლისში -94,5 % მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ 2019 წლის მეორე კვარტალში ქვეყანას 1,9 მლნ ტურისტი სტუმრობდა და მათი საშუალო დანახარჯი 890 ლარს შეადგენდა, ტურიზმიდან მინიმალური დანაკარგი 2 მილიარდ ლარამდეა. ამან ირიბი მულტიპლიკაციის ეფექტი გამოიწვია მომიჯნავე დარგებზე, სასტუმროებისა და

რესტორნების ბიზნესზე (გურული, 2020:6).

ევროკავშირიდან, მეზობელი ქვეყნებიდან და ისრაელიდან შემოსული ვიზიტორები მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ ქართულ ტურიზმში. 2019 წელს შემოსულ ვიზიტორთა სრული რაოდენობის 6.28%-ს შეადგენდნენ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორები, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 26%-ით აღემატებოდა. ირანელი ვიზიტორების წილი შედარებით მცირე იყო, თუმცა საერთო ვიზიტორების 1.52%-ს შეადგენდა. იგივე ტენდენცია აღინიშნა 2020 და 2021 წლებში - ირანიდან მხოლოდ 1500-1400 ვიზიტორი დაფიქსირდა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2022 წლის მონაცემებით თუ შევადარებთ 2019 წლის და 2022 წლის 8 თვის მონაცემებს ასეთ სურათს მივიღებთ: ყველაზე დიდი ზრდადობა მოდის ცენტრალურ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, კერძოდ: უზბეკეთზე (185%), საუდის არაბეთზე (59%), ყაზახეთზე (35%), ისრაელზე (6%). 94%-იანი ზრდადობა დაფიქსირდა ბელორუსზე. რეგიონებიდან კვლავ ლიდერობს ევროპა, მასზე მოდის 82 %, მეორე ადგილზეა შუა აღმოსავლეთი 5,1% და მესამეზე აზიურ-წყნაროკეანური სექტორი - 5%. საერთო ჯამში 2019 წლის 10 თვის მონაცემის შედარებით ანალიზით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022 წლის იგივე პერიოდში 45%-იანი კლება დაფიქსირდა, 2022/2021 წლებში 166,2%-იანი ზრდადობა, ხოლო 2022/2021 წლებში 188,5%-იანი ზრდადობა.

კრიზისი აღინიშნა არამარტო უშუალოდ ტურიზმის სექტორში, არამედ მასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულ დარგებზეც. ტურისტების შემცირება აისახა განთავსების საშუალებების დატვირთვაზე, სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას ახდენდა არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავდა მიზნად (იხ. ნახ. 1).



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (<https://gnta.ge/ge/>)

2018 წლის საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 663 ადამიანი იყო დასაქმებული; 2019 წელს 48 634, იგივე მონაცემები 2020 წლის I კვარტალში 38 661 კაცს შეადგენდა, რომელიც მეორე კვარტალში 30 215 კაცამდე შემცირდა. გამოდის, რომ 2019 წელთან შედარებით მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა რიცხვი 18 ათასზე მეტი კაცით შემცირდა.

2022 წლის 2 კვარტლის მონაცემებით 33 700 კაცი იყო დასაქმებული. კაპიტალის ბრუნვა წინა 2019 წელთან შედარებით 2089.1 მლნ ლარიდან 690, 1 მლნ ლარამდე შემცირდა (2020 წლის 2 კვარტლის მონაცემები), 2021 წელს აღნიშნულ სექტორში კაპიტალის ბრუნვამ 1722,9 მლნ მიაღწია. იგივე ტენდენციებია იმერეთის რეგიონშიც 2019 წელს. აქ აღნიშნულ სექტორში 2536 კაცი იყო დასაქმებული, 2020 წლისათვის მათი რიცხვი 1725 – მდე შემცირდა, 2021 წლისათვის კი უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა და 1745 კაცი შეადგინა.


საქართველოში ადგილობრივ ვიზიტორთა მიერ მონახულებადი რეგიონების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ბოლო

6 წლის განმავლობაში იმერეთს თბილისის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს, ხოლო საერთო პროცენტული მაჩვენებელი 17–21% ფარგლებში მერყეობს.

2021 წელს დაფიქსირდა შიგა ვიზიტორების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ცალკეულ რეგიონში და მიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ პერიოდს. მარტო იმერეთში 34 ათასიანი ზრდადობა დაფიქსირდა (რეგიონში არსებული მრავალფეროვანი ტურისტული რესურსების არსებობის გამო), ხოლო მთლიანად ქვეყანაში 314 ათასიანი ზრდადობა. ეს, ჩვენი აზრით, საზღვრების გადაკვეთის გამკაცრებულმა პირობებმა გამოიწვია. 2022 წლის 2 კვარტლის მონაცემებით რეგიონს 224,8 ათასი ვიზიტორი ეწვია (იხ. ნახ. 2).

ნახაზი 2

შიგა ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულელებული რეგიონების მიხედვით (ათასი კაცი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019–2021 წლიან პერიოდში გაიზარდა 15 წლის განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი საშუალო თვიური ხარჯი კატეგორიების ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მიხედვით (იხ. ნახ. 3).

ნახაზი 3

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები კატეგორიების მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


როგორც მე-3 ნახაზიდან ჩანს შიგა ვიზიტორების მიერ დახარჯული ხარჯები ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 226 მლნ ლარს, რაც 73,5 მლნ-ით აღემატება იგივე მაჩვენებელს პანდემიამდე (153 მლნ ლარი). კატეგორიების ხარჯებიდან პირველ ადგილზეა საყიდლები, შემდეგ საკვები და ტრანსპორტი. განთავსება მე-4 ადგილზეა, რადგან ვიზიტორთა უმრავლესობა ადგილობრივები იყვნენ და ღამის საკუთარ სახლებში ათევენ. გაწეული ხარჯებიდან ბოლო ადგილზეა გართობა.

საინტერესოა იმერეთის რეგიონის სასტუმროებში აღრიცხულ სტუმართა

რაოდენობა პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ პერიოდში. 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, იმერეთის სასტუმროებში სტუმართა რაოდენობა 63 ათასით გაიზარდა, აქედან 53 ათასი უცხოელ ვიზიტორებზე მოდის. სრულიად განსხვავებულია 2020 წლის მაჩვენებლები, კერძოდ პანდემიით შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო შემოღებულმა რეგულაციებმა, მათ შორის საზღვრების ჩაკეტვამ მინიმუმამდე შეამცირა უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა და მხოლოდ 4641 უცხოელი სტუმარი დაფიქსირდა. საერთო ჯამში კი სტუმართა რაოდენობა 42%-ით შემცირდა და 73 813 შეადგინა (იხ. ნახ. 4).

ნახაზი 4

იმერეთის რეგიონის სასტუმროებში აღრიცხულ სტუმართა რაოდენობა 2018–2021 წწ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონში შემოსული ვიზიტორების მოტივაცია პანდემიამდე და პოსტპანდემიურ პერიოდშიც %70 რეკრეაციასა და დასვენებაზე მოდის, მეორე ადგილზე საქმიანი და პროფესიული ვიზიტები, ხოლო მესამე ადგილზე მკურნალობაა.


პანდემიის პერიოდში იმერეთში მოქმედებდა 6 კოვიდსასტუმრო, აქედან 5 ქუთაისში და 1 წყალტუბოში, სულ საქართველოში 261 ასეთი სასტუმრო აღირიცხა და 2020 წლის მარტიდან, 2022 წლის მარტამდე სახელმწიფოს ბიუჯეტიდან

109276896 ლარი დაიხარჯა. თითოეულ ბენეფიციარზე თავიდან 59 ლარი მოდიოდა, ბოლოს კი 120 ლარი შეადგინა. ამან ხელი შეუწყო აღნიშნული სასტუმროების უწყვეტ ფუნქციონირებას და მომსახურე პერსონალის დასაქმებას (ბიზნესფორმულა, 2022)

განვიხილოთ იმერეთის რეგიონში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები ათწლიან პერიოდში (2011–2021წწ). (იხ. ნახ. 5).

ნახაზი 5

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების ეკონომიკური მაჩვენებლები იმერეთის რეგიონში 2011–2021 წწ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკიდან ჩანს, რომ 2016 წლისათვის აღნიშნული ეკონომიკური მაჩვენებელი 16 მლნ ლარს შეადგენდა 2019 წლამდე აღირიცხა ყოველწლიური ზრდადობა და მიაღწია 66 მლნ ლარს, მაქსიმუმი დაფიქსირდა 2017 წელს 78,1 მლნ ლარი, 2020 წლისათვის 36 მლნ–მდე შემცირდა, 2021 წლისათვის კი წინა წელთან შედარებით 50%-იანი ზრდადობა დაფიქსირდა.

მულტიპლიკაციის ეფექტების გამოყენებით შეუძლებელია განთავსების საშუალებებზე მსჯელობა, რადგან სასტუმროების ბიზნესი დამოკიდებულია მრავალ რესურსზე, რომელსაც იყენებს თავისი მომსახურების სერვისისათვის (თეთრეული, საკვები, დასაბანი საშუალებები და ა.შ.). სასტუმროების დახურვა იწვევს მისი მიმწოდებლების საქმიანობის შეფერხებასაც. მულტიპლიკაციის ეფექტი დამოკიდებულია იმპორტირებულ პროდუქციის რაოდენობაზე, რაც მეტია აღნიშნული პროდუქციის წილი მიწოდებაში, მით ნაკლებია მულტიპლიკაციის ეფექტი, რადგან ნაკლები ფინანსების გადინება ხდება ქვეყნიდან (ბრეგაძე, 2021).

ამერიკული სამოგზაურო გამოცემა „Thrillist“ 13 საუკეთესო ქვეყანას აღწერს, სადაც ცხოვრებას ურჩევს ამერიკის მოქალაქეებს, რომელშიც პოპულარული ტურისტული ქვეყნების გვერდით საქართველოსაც ასახელებს. გამოცემის

ჟურნალისტი საქართველოში ჩამოსასვლელად ვიზიტორებს პროექტ „იმუშავე საქართველოდან“ გამოყენებას ურჩევს. აღნიშნულ პროექტში მონაწილეებს საქართველოს მთავრობამ სავიზო მოთხოვნები შეუმსუბუქა. (National Geographic, 2020).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით პროექტის “იმუშავე საქართველოდან” ფარგლებში 27 აგვისტოდან 25 ოქტომბრის ჩათვლით სხვადასხვა ქვეყნის 1,100-მდე მოქალაქე დარეგისტრირდა. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტმა მოსალოდნელი პროგნოზი ვერ გაამართლა.

დღეს კორონა ვირუსი ფაქტობრივად დაძლეულია მსოფლიოსა და საქართველოშიც. დაიწყო ეკონომიკური წინსვლა და მათ შორის ტურიზმის სექტორშიც. იმედის მომცემი იყო ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემამ National Geographic-მა საქართველო და სვანეთის რეგიონი 2021 წელს მსოფლიოს 25 საუკეთესო მიმართულებებს შორის დაასახელა, რომელსაც ტურისტი პოსტპანდემიურ პერიოდში უნდა ეწვიოს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განზოგადების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კორონავირუსით გამოწვეული პანდემია უპრეცედენტო მოვლენაა, რომელმაც გავლენა

მოახდინა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე მთელს მსოფლიოში. ეკონომიკის ყველაზე მეტად დაზარალებული სფერო კი არის ტურიზმი, მათ შორის სასტუმროებისა და ავიაშიმოსვლის ბიზნესი.

მუშაობის განახლების პროცესში სირთულეები წარმოიქმნა საქართველოს ტურიზმის სექტორში. შიდა ტურიზმი განახლდა განსაზღვრული განრიგით, მაგრამ საერთაშორისო მგზავრობის განახლება შეფერხდა. 2021 წლის 8 ივნისიდან სასტუმროებს ნება დართეს, განეახლებინათ მუშაობა; აღდგა საქალაქთაშორისო ტრანსპორტი. რკინიგზამ ოპერირება 15 ივნისს განაახლა. შიდა ტურიზმის გახსნის ბოლო ფაზა აღინიშნა შიდა ფრენების განახლებით 24 ივლისიდან. 8 ივლისს საქართველომ საზღვრები 5 ევროპულ ქვეყანას გაუხსნა (გერმანია, საფრანგეთი, ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია). აღნიშნულ ქვეყნებთან საზღვრების ორმხრივად უპირობოდ გახსნა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქართველო მოხვდა ევროკავშირის მიერ 30 ივნისს გამოქვეყნებული სამოგზაუროდ უსაფრთხო 15 ქვეყნის სიაში. დღეისათვის საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა ნაკადი თითქმის გაუტოლდა პანდემიამდე პერიოდს, კერძოდ 2022 წლის 8 თვის მონაცემებით – ქუთაისის აეროპორტში დაფიქსირდა 2019 წლის იგივე პერიოდის 95%-იანი, ბათუმის აეროპორტში – 94%-იანი, ხოლო თბილისის აეროპორტში – 74%-იანი აღდგენა.

რეგიონში ტურიზმის აღორძინებას ხელი შეუწყო იმან, რომ ოფიციალურად გაიხსნა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი ახალი ტერმინალით, 6-ჯერ გაზრდილი ტერიტორიითა და 4-ჯერ გაზრდილი გამტარუნარიანობით, უახლესი სერვისებით. თუ ძველი ტერმინალი წელიწადში 000 600 ვიზიტორის მიღებას ახერხებდა ახლა 2,5 მილიონ ტურისტს უმასპინძლებს, აქვს 7 გასასვლელი და საათში 1200 ზე მეტი მგზავრის გატარებას შეძლებს შეუფერხებლად.

პოსტპანდემიის პირობებში მიმდინარეობს

ტურიზმისა და მისი ცალკეული სექტორის გამოცოცხლება, როგორც საქართველოში, ისე მთლიანად მსოფლიოში. იმედის მომცემია 2022 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, კერძოდ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით 2022 წლის მარტში 484 211 ვიზიტორი შემოვიდა, რაც 210,6%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 2019 წლის მარტის თვის 48,5%-ს შეადგენს. 2022 წელს ყველგან, მათ შორის საქართველოშიც დაიწყო ტურიზმის სექტორის სწრაფი აღდგენა. ტურიზმის აღდგენის დაჩქარებული ტემპი ჩვენს ქვეყანაში 2022 წლის მაისიდან დაფიქსირდა. 2022 წლის პირველ ნახევარში 2019 წელთან შედარებით ტურისტული ვიზიტების 56,8%-იანი ზრდადობა დაფიქსირდა, ივნის-აგვისტოში კი 78,7%-იანი ზრდადობა. უფრო სწრაფად აღდგა ტურიზმის შემოსავლები, კერძოდ 2022 წლის პირველ ნახევარში 78,3%-იანი, ხოლო ივლის-აგვისტოში 123,6%-იანი ზრდადობა დაფიქსირდა, რაც მიგრანტების შემოდინებითა და მაღალი ინფლაციით აიხსნება. ამასთანავე სასტუმროების შემოსავლები უფრო სწრაფად აღდგა რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში. ერთ-ერთი მიზეზი შიდა ტურიზმის გაზრდითაა გამოწვეული. პანდემიამ ინვესტორთა ინტერესები შეამცირა, რამაც საშუალო და დიდი ზომის სასტუმროების მშენებლობის პროცესი შეანელა.

სს საქართველოს ბანკის ჯგუფის „Galt & Taggart“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კეთდება პროგნოზი, რომ 2022 წლის ბოლოსათვის მოხდება ტურიზმის სრულად აღდგენა პანდემიამდე დონესთან, ხოლო 2023 წლისათვის 10%-იანი ზრდადობა დაფიქსირდება. ამასთან საქართველოს ტურიზმის სექტორმა აქცენტი უნდა გააკეთოს ისეთ მაღალშემოსავლიანი მიმართულებების განვითარებაზე, როგორცაა ღვინის, ზამთრის. საკურორტო და MICE ტურიზმის განვითარებაზე (ტურიზმის მიმოხილვა, 2022).

დასკვნა

საქართველოს, როგორც ღია ეკონომიკის ქვეყანას, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებზე, ვაჭრობაზე, ინვესტიციებზე და ფულად გზავნილებზე, შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მსოფლიო პანდემიის გლობალურ ეკონომიკურ შედეგებს. ჯერ ნაადრევია კოვიდ-19-ის ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენის სრულად შეფასება. თუმცა, ვირუსის ზემოქმედების მამუტაბები მეტ-ნაკლებად ცხადია. ნელ-ნელა ხდება ტურიზმისა და მისი ცალკეული სექტორის გამოცოცხლება.

ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღდგენიდან გამომდინარე სამთავრობო პროგრამაში „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის 2021-2024“ ჩამოყალიბდა ახლებური ხედვა ტურიზმის განვითარების სფეროში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტურიზმი და მომიჯნავე ინდუსტრიები არის ყველაზე დაზარალებული პანდემიის შედეგად. ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგია დაეფუძნება დივერსიფიკაციისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების მოთხოვნებს.

იმედია, ზემოაღნიშნული ტენდენციები გაზრდის ვიზიტორთა ნაკადებს და მათ მიერ გაწეულ ხარჯებს, არამარტო მთლიანად ქვეყანაში, არამედ ცალკეულ რეგიონში და მათ შორის იმერეთშიც. ყველაფერი ერთად კი ხელს შეუწყობს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევას.

ლიტერატურა

1. ბრეგაძე გ., (2021) – COVID-19-ის ეფექტი ტურიზმის ინდუსტრიაზე 2020 წელს. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო (GHN).

URL:<https://www.ghn.ge/news/257316-covid-19-is-efekti-turizmis-industriaze-2020-tsels>

(გადამოწმებულია 8.11.2022)

2. გურული ი., (2020) – პანდემიის მიმოხილვა: ეკონომიკური ზეგავლენა და შედეგები საქართველოსთვის. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC). თბილისი

URL:<https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/>

[covid19georgia_geo.pdf](https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid19georgia_geo.pdf)

(გადამოწმებულია 8.11.2022)

3. დავითულიანი ც. (2020) – COVID-19-ის გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორზე. ეკონომიკური პროფილი. ტ.15, N1(20), გვ.53–43

URL:<http://economicprofile.org/pdf/e29bc5229867b6a6a528cc51b35821eb.pdf>

(გადამოწმებულია 8.11.2022)

4. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი(EPRC).COVID-19ეკონომიკურიშედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის. 2020, გვ.9

https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid_fin-geo.pdf (გადამოწმებულია 8.11.2022)

5. კოვიდ-სასტუმროებზე ბიუჯეტიდან ლ109 მილიონზე მეტი დაიხარჯა - დეტალები. ბიზნესფორმულა. URL:<https://businessformula.ge/News/7938>, 29.03.2022 (გადამოწმებულია 8.11.2022)

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – URL:<https://www.geostat.ge/ka>

7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია– URL:<https://gnta.ge/ge/>

8. სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის 2024-2021“. URL:www.gov.ge/files/68_78117_645287_gov-programme2021-2024.pdf

(გადამოწმებულია 8.11.2022)

9. Asian Development Bank (2020) The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia. URL:<https://bit.ly/2UpeGe9> (გადამოწმებულია 8.11.2022)

10. United Nations -UNCTAD (2020). The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It. URL: <https://bit.ly/2WwcW5O> (გადამოწმებულია 8.11.2022)

11. Destinations on the rise for 2021. URL:<https://www.nationalgeographic.com/travel/features/best-of-the-world-2021/> (გადამოწმებულია 8.11.2022)

12. Galt & Taggar (2022) Tourism overview. URL:https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2022-09/report/tourism-overview_september-2022_eng_final.pdf; (გადამოწმებულია 8.11.2022)

TRENDS IN THE RECOVERY OF THE TOURISM INDUSTRY

(ON THE EXAMPLE OF IMERETI)

Tsitsino Davituliani

Ph.D., Akaki Tsereteli State University and Kutaisi University Associate Professor
tsitsino.davituliani@unik.edu.ge

Maia Azmaipharashvili

Ph.D., Associate Professor of Gori State University, Professor of Kutaisi University
maia.azmaipharashvili@unik.edu.ge

KEY WORDS: *Imereti; coronavirus; tourism; visitors; hotels.*

J.E.L. classification: L83, R1 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.09>

For citation: Davituliani Ts., Azmaipharashvili M., (2022) Trends in the recovery of the tourism industry (on the example of Imereti). (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 118-127. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.09>

Summary

The Coronavirus along with other sectors of the economy, has caused great damage to the tourism sector and related industries. The number of international tourists decreased by 0.7% in February 2020 compared to 2019. The decrease in the number of visitors has affected the restaurant business, airlines, shopping and catering establishments. In 2020 with the period before the pandemic, the number of employees in hotels throughout Georgia decreased by 17 000 people. According to the statistical data the increase was recorded in the 2nd quarter of 2022. The same trends were observed in the research region in particular in Imereti in 2019. In the mentioned sector by 2020, 2536 people were employed and their number decreased to 1725. By 2021 a slight increase was recorded in amount to 1745 people. In 2021, the highest rate of domestic visitors was recorded, both in the country as a whole and in the regions that exceeded the pre-pandemic period. An increase

of 34 000 was recorded in Imereti alone, and the increases of 314 000 in the country as a whole. It were caused by broader crossing restrictions. Although, the income from international tourism decreased significantly during the research period, the opposite result was observed in the case of local visitors, the expense within the country increased significantly and reached 226 million GEL, higher than the same period before the pandemic with is 73,5 million GEL.

In post-pandemic conditions, tourism and its separate sector are being revitalized, both in Georgia and in the world as a whole. According to the National Tourism Agency the number of visitors to Georgia in 2022 is promising. In March 2022 211 484 visitors arrived, which is 210,6% higher than the previous years and comprises 48,5% of March of 2019.

Difficulties arose in the process of renewal of work in the tourism sector of Georgia. Domestic tourism resumed on schedule, but resumption of international travel was delayed. From June 8, 2021, hotels were allowed to resume operations; Intercity transport was restored. The railway resumed operations on June 15. The final phase of the opening of domestic tourism was marked by the resumption of domestic flights from July 24. On July 8, Georgia opened its borders to 5 European countries (Germany, France, Estonia, Lithuania and Latvia). The mutual unconditional opening of the borders with the mentioned countries was caused by the fact that Georgia was included in the list of 15 safe countries for travel published by the European Union on June 30. To date, the flow of passengers in all three international airports of Georgia has almost equaled the period before the pandemic, in particular, according to the data of the 8th month of 2022, Kutaisi airport recorded a 95% recovery of the same period of 2019, Batumi airport - 94%, and Tbilisi airport - 74%.

In 2022, the rapid recovery of the tourism sector began everywhere, including Georgia. An accelerated pace of tourism recovery has been observed in our country since May 2022. In the first half of 2019, compared to 2019, a 56.8% increase in tourist visits was recorded, and in June-August, a 78.7% increase.

Tourism revenues recovered faster, in particular, in the first half of 2022, 78.3% growth, and 123.6% growth was recorded in July-August, which is explained by the influx of migrants and high inflation.

It was observed, which is explained by the influx of migrants and high inflation. At the same time, hotel revenues recovered faster in the regions than in the capital, one of the reasons being the increase in domestic tourism. The pandemic reduced the interest of investors, which slowed down the construction process of medium and large hotels.

As a result of the research conducted by JSC Bank of Georgia group “Galt & Taggart”, a forecast is made that by the end of 2022, tourism will be fully restored to the pre-pandemic level, and by 2023, a 10% increase will be recorded. In addition, the tourism sector of Georgia should focus on the development of such high-income destinations as - wine, winter. Resort and MICE tourism development (Tourism Review, 2022).

Hopefully, the above-mentioned trends will increase the flow of visitors and their spending, not only in the country as a whole, but also in individual regions, including Imereti. Together, everything will contribute to overcoming the economic crisis caused by the pandemic.

References

1. Bregadze G., (2021) – The effect of COVID-19 on the tourism industry in 2020. Georgian News Agency (GHN). URL:<https://www.ghn.ge/news/257316-covid-19-is-efekti-turizmis-industriaze-2020-tsels> (verified on 8.11.2022)
2. Guruli I., (2020) - Overview of the pandemic: economic impact and consequences for Georgia. Economic Policy Research Center (EPRC). Tbilisi URL:https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid19georgia_geo.pdf (verified on 8.11.2022)
3. Davituliani Ts. (2020) – Impact of COVID-19 on Georgia’s Tourism Sector. economic profile. Vol.

15, N1(20), pp. 43–53

URL:<http://economicprofile.org/pdf/e29bc-5229867b6a6a528cc51b35821eb.pdf>

(verified on 8.11.2022)

4. Economic Policy Research Center (EPRC). Economic consequences of COVID-19 for the world and Georgia. 2020, p. 9 URL:https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid_fin-geo.pdf

(verified on 8.11.2022)

5. More than L109 million was spent on Covid-hotels from the budget - details. business formula. URL:<https://businessformula.ge/News/7938>, 29.03.2022 (verified on 8.11.2022)

6. National Statistics Office of Georgia – URL:<https://www.geostat.ge/ka> (verified on 8.11.2022)

7. Georgian National Tourism Administration – URL:<https://gnta.ge/ge/> (verified on 8.11.2022)

8. Government program “For the construction of the European state 2021-2024”. URL:www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf (verified on 8.11.2022)

9. Asian Development Bank (2020) The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia. URL:<https://bit.ly/2UpeGe9> (verified on 8.11.2022)

10. United Nations -UNCTAD (2020). The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.

URL: <https://bit.ly/2WwcW5O> (verified on 8.11.2022)

11. Destinations on the rise for 2021.

URL:<https://www.nationalgeographic.com/travel/features/best-of-the-world-2021/>

(verified on 8.11.2022)

12. Galt & Taggart (2022) Tourism overview.

URL:https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2022-09/report/tourism-overview_september-2022_eng_final.pdf; (verified on 8.11.2022)

იმერეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი

ნაირა ვირსალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი naira.virsaladze@atsu.edu.ge

მალვინა ყიფიანი

ასოცირებული აფილ.პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, mavlina.kiphiani@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: იმერეთის რეგიონი; აგროზონა; შემოსავლების სიმცირე; მიგრაცია; სიღარიბე

J.E.L. classification: R3; Q4

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.04>

ციტირებისთვის: ვირსალაძე ნ., ყიფიანი მ., (2022) იმერეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 1(24), გვ. 128-137 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.04>

ანოტაცია. გლობალური პრობლემების ფონზე აქტუალური ხდება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები. ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის მდგრად განვითარებაზე. რეგიონული პრობლემების სრულფასოვანი შეფასების მიზნით უპირველესი და აუცილებელი პირობაა კონკრეტული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების თავისებურებათა შესწავლა და მეცნიერული ანალიზი, რეგიონების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უთანაბრობის გამოწვევის რეალური მიზეზების დადგენა. იმერეთის რეგიონის განვითარების ძირითად ასპექტებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემები: უმუშევრობის ზრდა, მიგრაციისა და სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი, დაბალი შემოსავლები.

შესავალი

მსოფლიოში არსებული გამოწვევები (კოვიდი, ომი რუსეთსა და უკრაინას შორის) სერიოზულ და საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. მნიშვნელოვან წილად ფერხდება და სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებები. არსებული მოვლენების ზეგავლენა საკმაოდ დიდია როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების განვითარებასთან. იმერეთის რეგიონი (მხარე) მიუხედავად თავისი მრავალმხრივი შესაძლებლობებისა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა, მაქსიმალურად ვერ ახერხებს არსებული პოტენციალის სრულფასოვან ათვისებასა და გამოყენებას, ჯერ კიდევ სერიოზულად „ებრძვის“ დაბალ შემოსავლებს, ახლგაზრდა თაობის მიგრაციულ პროცესებს, დემოგრაფიული დაბერების მაღალ მაჩვენებელს. რეგიონის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მძიმე ტვირთად დააწვა ფასების ზრდა სურსათისა და ფართომომხმარებლის საგნებზე, ინფლაცია, უმუშევრობა, ფინანსური რესურსებისა და სახელმწიფოსაგან დახმარების ნაკლებობა.

ძირითადი ტექსტი

მიმდინარე მოვლენების გავლენა და ზემოქმედება საკმაოდ ანგარიშგასაწევ თემად იქცა რეგიონული ეკონომიკის თვალსაზრისით. დღეს საკმაოდ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხად ითვლება ქვეყნების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ასპექტები და მათზე მოქმედი ფაქტორები დროულ და სრულფასოვან შესწავლას საჭიროებს. მსოფლიოში დაგროვილმა საკმაოდ მდიდარმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რეგიონის მართვასა და განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული წარსული, კულტურული და ბუნებრივ-რესურსული თავისებურებანი. რომელიც ისტორიული წინაპირობების შედეგია. ამ თვალსაზრისით საქართველო საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ქვეყანაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს მრავალფეროვნება და მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების საფუძველზე ჩამოყალიბებული სამეურნეო ცხოვრების წესები და ტრადიციები ქმნის ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების) განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის მდგომარეობისა და ტენდენციების უთანაბრობას.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა რეგიონული განვითარების სამთავრობო პეროგრამებზე, რომელიც საკმაოდ სერიოზულ და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს რეგიონული ინფრასტრუქტურის SWOT ანალიზისათვის.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ იმერეთის რეგიონი (მხარე) გამოირჩევა მოსახლეობის შემოსავლების სიმცირით, მიგრაციული პროცესების და დემოგრაფიული დაბერების მაღალი მაჩვენებლებით და, შესაბამისად, სოციალურ დახმარებაზე მაღალი დამოკიდებულებით (იმერეთის განვითარების სტრატეგია 2014-2021:34-40).

რეგიონი (მხარე) საქართველოს

ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მისი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. მას საქართველოს ტერიტორიის 9,4% უჭირავს და 12 მუნიციპალიტეტს აერთიანებს. მისი მთავარი და საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორებია: სიახლოვე საზღვაო პორტებთან და საერთაშორისო აეროპორტებთან, მდებარეობა ენერგეტიკულ და საავტომობილო კორიდორებზე, ურბანიზაციის მაღალი დონე, წიაღისეულის მრავალფეროვნება, სასოფლო კულტურების განვითარების ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები, ტურისტული და რეკრეაციული რესურსების მრავალსახეობები.

2022 წლის იანვრის მდგომარეობით ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მის წილად მოდის საქართველოს მოსახლეობის 12,6%. მოსახლეობის 49,5% ქალაქის, ხოლო 50,5% სოფლის მოსახლეობას მიეკუთვნება. ქალაქის მოსახლეობის 28% ქუთაისის მაცხოვრებელია. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული რეგიონის მოსახლეობა სულ უფრო და უფრო მცირდება, 1994-2022 წლებში ის 315.8 ათასით არის შემცირებული, ხოლო 2019-2022 წლებში 30.8 ათასით (საქსტატი, 2022).

ამ მაჩვენებელთა რეალური შედეგი ისაა, რომ დღეს იმერეთის რეგიონის ფაქტობრივ სუსტ მხარედ ითვლება უმუშევრობის და სიღარიბის მაღალი დონე. ნაკლებად განვითარებული მუნიციპალური სერვისები, კომერციული და ბიზნეს ინფრასტრუქტურა, მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, ბუნებრივი კატასტროფების მართვის ქმედითი სისტემის არარსებობა, რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურების შეზღუდული უფლებები, მწირი შემოსავლები და ქონებრივი რესურსები (იმერეთის განვითარების სტრატეგია 2021:34-40-2014).

არსებული პრობლემები და გამოწვევები მკვეთრად ახდენს გავლენას რეგიონის დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაშინ, როდესაც იგი გამოირჩევა ხელსაყრელი მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების, ფლორისა და

ფაუნის მრავალფეროვნებით, მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოებით (100-ზე მეტი), მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტურიზმის განვითარებისათვის დიდი პოტენციალით. მხოლოდ მათი ეფექტური და გონივრული გამოყენება გადააქცევს მას ეკონომიკის აღორძინების მძლავრ ბერკეტად და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წყაროდ. ამ საქმეში კი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მოქნილმა რეგიონულ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ქვეყნის სტაბილურმა მდგომარეობამ.

რეგიონში არსებული მდგომარეობის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს აღრიცხვისა და სტატისტიკის მუშაკებმა

და მათ მიერ გაკეთებულმა ეკონომიკურ-სტატისტიკურმა კვლევებმა. მათში უნდა აისახოს რეგიონის რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (და არა თავის მოსაწონებლად ხელოვნურად შელამაზებულ ციფერებში), მხოლოდ სინამდვილის გამომწვეურებით და არსებული სუსტი ადგილების სწორი დანახვით შევძლებთ როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას და სასურველი შედეგების მიღწევას. სწორედ რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს რეგიონის შემდგომი განვითარების სტრატეგიის, ახალი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება. რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისა და მათი დეტალური ანალიზისათვის, კანონზომიერების დადგენის მიზნით, შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა აგრეგირებული მაჩვენებლები.

ცხრილი 1.

საქართველოს და იმერეთის რეგიონის მნიშვნელოვანი კრებსითი მაჩვენებლები 2012-2020 წლებში

მაჩვენებლები	2012	2016	2020
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში (მლნ.ლარი)			
საქართველო სულ	27 227.3	35 836.0	49 266.7
იმერეთის რეგიონი	2 360.6	2 906.	4 151.6
ხვედრითი წილი%	8.67	8.11	8.42
ბრუნვა (მლნ. ლარი)			
საქართველო სულ	42 048.0	64 081.8	114348.5
იმერეთის რეგიონი	1 886.0	2 860.0	4 311.3
ხვედრითი წილი%	4.48	4.46	3.77
გამოშვებული პროდუქცია (მლნ. ლარი)			
საქართველო სულ	23 096.6	34 156.9	46 227.3
იმერეთის რეგიონი	1 185.4	1 645.0	2 772.4
ხვედრითი წილი%	5.13	4.81	5.99
დამატებული ღირებულება (მლნ.ლარი)			
საქართველო სულ	11 190.7	16 772.4	22 263.0
იმერეთის რეგიონი	514.9	720.1	1 218.6
ხვედრითი წილი%	4.60	4.29	5.47
უმუშევრობის დონე (%)			
საქართველო	26.7	21.7	18.5
იმერეთის რეგიონი	22.3	24.1	19.8

დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი (ლარი)			
საქართველო სულ	714.3	938.3	1 222.9
იმერეთის რეგიონი	481.0	619.3	929.5
ხვედრითი წილი%	67.33	66.0	75.68
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ.ლარი)			
საქართველო სულ	3 245.6	4 665.4	4 350.1
იმერეთის რეგიონი	133.4	110.2	178.1
ხვედრითი წილი%	4.11	2.35	4.09

წყარო: ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

მოტანილი კრებსითი მაჩვენებლებიდან ნათლად ჩანს რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში (იხ. ცხრ. 1). 2021 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო გამოვიყენეთ 2020 წლის მონაცემები და შევადარეთ წინა პერიოდის მაჩვენებლებს. 2020 წელს რეგიონულმა მშპ-მა 4148,3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მშპ-ის 8,42%-ია და იმერეთს მესამე ადგილი უჭირავს თბილისისა და აჭარის შემდეგ. საანალიზო პერიოდში რეგიონული მშპ-ის დინამიკა ცვალებადი კონიუნქტურით ხასიათდება, თავდაპირველად იკლებს, 2016-2018 წლებში იზრდება, 2019 წლიდან კვლავ მცირდება. რეგიონის მშპ-ის სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება დამამუშავებელი მრეწველობა (13.2%); სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა(12,4%) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12%); შემდეგ მოდის საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი; მშენებლობა და ა. შ. (საქსტატი, 2021)

2019-2020 წლებში შემცირებულია ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და გამოშვების მაჩვენებლები: დაბალია სამუშაო ძალის აქტივობის დონე და, შესაბამისად, დასაქმების დონე (34.5%). მართალია 2020 წელში წინა პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე - 19.8%-მდე შემცირდა, მაგრამ 2021 წლისათვის 23.1%-მდე გაიზარდა, რაც საერთო ქვეყნის

მაჩვენებელს 2,5%-ით აღემატება; რეგიონის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 30,6% თვითდასაქმებულია, რაც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სექტორში შინამეურნეობების მაღალი ხვედრითი წილით. რეგიონში საშუალოთვიური ანაზღაურება (925.5 ლარი) 293.4 ლარით (ანუ 24.4%-ით) ჩამორჩება ქვეყნის საშუალოთვიურ ანაზღაურებას (1 222.9 ლარი), რაც რეგიონის დარგობრივ სტრუქტურაში აგრარული სექტორის სიჭარბითაა გამოწვეული (სადაც შედარებით დაბალი ანაზღაურებაა) (საქსტატი, 2022)

რეგიონის ეკონომიკა ძირითადად აგრარული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამ სექტორშია დასაქმებული, მასზე მოდის მთლიანი რეგიონული პროდუქტის მხოლოდ 12,4%, რაც გამოწვეულია იმით, რომ თვითდასაქმებულები ძირითადად ოჯახურ მეურნეობაში საქმიანობენ, რომელთა უდიდესი ნაწილი მცირემიწიანია (საშუალო ფართობი 1,4 ჰექტარია) და დაბალმოსავლიანობით ხასიათდება, რაც ამცირებს დარგის პროდუქტიულობას. აგრარული სექტორის დასუსტება ქვეყანაში ძირითადად გამოიწვია ეკონომიკური სისტემის რღვევის დროს დაშვებულმა შეცდომებმა, არასწორად წარმართულმა განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესმა, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა როგორც ქვეყნის, ისე თითოეული რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაზე.

არასწორი რეორგანიზაციის გამოძახილია ისიც რომ, განვითარების დონის მიხედვით რეგიონის სოფლის მეურნეობა ძირითადად სამომხმარებლო ხასიათისაა. რეგიონში განუვითარებელია ფერმერული მეურნეობები, დაბალია სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დონე, პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები და მეთოდები მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. სოფლის მეურნეობის სექტორი ძირითადად ორიენტირებულია შინამეურნეობის (ოჯახის) სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და არა სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ბოლო პერიოდში (როგორც მსოფლიოში), საქართველოში კლიმატი არსებითად შეიცვალა, რამაც სტიქიური მოვლენების (გვალვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ხანძარი) საოცარი გახშირება გამოიწვია. ამ პროცესებმა სამეურნეო აქტივობაზე უარყოფითად იმოქმედა, გაიზარდა ნიადაგის ეროზია, კიდევ უფრო შეამცირა ისედაც დაბალი მოსავლიანობა.

აგრარული მეურნეობის გაძლიერების, შრომის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით პირველ რიგში უნდა მოხდეს მცირემიწიანი მეურნეობების დამსხვილება, რაც ხელს შეუწყობს დარგის ტექნიკურ გადაიარაღებას და წარმოების ინტენსიფიკაციას.

რეგიონის აგრარულ სექტორში აღნიშნული ნაკლოვანებები გამოვლინდა ჯერ კიდევ 2019 წელს „ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის (მწვანლის) მიწოდების, იმერეთის აგროზონის საექსპორტო პოტენციალის შესაძლებლობების“ საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის პროცესში. კვლევა ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობით. კვლევის ფარგლებში საგრანტო პროექტი მიზნად ისახავდა სამიზნე ტერიტორიაზე მოსახლეობის და მოქმედ მეწარმეთა გამოკითხვას. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პირველადი ინფორმაციის მოპოვებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით თერჯოლის, წყალტუბოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში სულ გამოიკითხა 180 რეზიდენტი და 27 მეწარმე

სუბიექტი, რომლებიც ძირითადად დაკავებული იყვნენ მწვანლის წარმოებით ან/და რეალიზაციით. კვლევის საფუძველზე გამოიკვთა შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) და მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) ხელშეწყობის მიმდინარე პროექტების შესახებ“ ინფორმაციას ფლობს გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (75.5%).

2. იმერეთის აგროზონის ტერიტორიაზე რეალურად არსებობს ევროკავშირის ბაზარზე მწვანლის უწყვეტად მიწოდებისათვის წარმოების მატერიალური და შრომითი რესურსები და ხელშემწყობი კლიმატური პირობები.

3. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მწვანლის რეალიზაციას ძირითადად ახდენს ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო ნაწილს პროდუქცია გააქვს რუსეთსა და უკრაინაში. მეწარმეები ძირითად საექსპორტო ქვეყნად რუსეთსა და უკრაინას ასახელებენ.

4. გამოკითხული რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ეფექტიანად მიიჩნევს კაპიტალურ სათბურს.

5. მეწარმეთა აზრით საბითუმო (ჩასაბარებელი) ფასი მწვანელზე გაცილებით მაღალი უნდა იყოს, ვინაიდან (ხშირ შემთხვევაში სეზონზე) რეალიზაციიდან მიღებული თანხით არა თუ მოგება რჩება, ხარჯებსაც კი ვერ ფარავენ.

6. მწვანელზე ფასების მკვეთრი ცვლილება ძირითადად სეზონის მიხედვით ხდება. ყველაზე მაღალი ფასი ზამთარში ფიქსირდება, როდესაც ტემპერატურა ძალიან დაბალია. ფასები ასევე მკვეთრად იზრდება ზაფხულშიც, განსაკუთრებით ცხელ ამინდებში და გვალვებში.

გამოკითხული რესპოდენტებიდან კოოპერატივის წევრი არის მხოლოდ 2%. საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების, ფინანსური მხარდაჭერის და პროდუქციის რეალიზაციაზე გარანტიის არსებობის შემთხვევაში კოოპერატივის წევრობა მისაღებია გამოკითხულთა 20.5 %-სათვის. მიღებული შედეგები კიდევ უფრო ამყარებს დასკვნას,

კოოპერატივების შესახებ, მოსახლეობასთან არასაკმარისი მუშაობის შესახებ.


7. მწვანე წარმოებით დაკავებული და სასათბურე მეურნეობების შექმნა-გაფართოებით დაინტერესებული მოსახლეობა საჭიროებს მიზნობრივ სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას კრედიტების ხელმისაწვდომობის და მოქნილი სადაზღვევო სისტემის უზრუნველყოფის, ხარისხიანი სათესლე მასალებით, მავნებლებთან ბრძოლის ეფექტური საშუალებებით მომარაგების და სარწყავი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.

8. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებად ისახება მდგრადი საექსპორტო ბაზრის მოძიება - ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების მხარდამჭერი პროექტების განხორციელება და კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრებით (აგრონომები) უზრუნველყოფა.

მოსახლეობის შემთხვევითი ანონიმური გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები წარმოდგენილია 1-ლ ნახაზზე.

ნახაზი 1

ანონიმური გამოკითხვის ანკეტებით გამოკვეთილი პრობლემები




წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორთა მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

მწვანილის წარმოებით ან ექსპორტით გამოკვეთილი პრობლემები წარმოდგენილია დაკავებულ მეწარმეთა გამოკითხვით მე-2 ნახაზზე.

ნახაზი 2

დეტალური გამოკითხვის ანკეტებით გამოკვეთილი პრობლემები



წყარო: გრაფიკი შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით

იმერეთის რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგად აგრარულ სექტორში გამოკვეთილი პრობლემების შემდეგ მალევე გამოჩნდა COVID-19 პანდემია და მოსახლეობა კიდევ უფრო რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. უფრო გამოიკვეთა რეგიონში არსებული პრობლემები. მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობების დაქვეითების პარალელურად მცისიერად დაიწყო სამუშაო ადგილების შემცირება და პანდემიანდელ არსებულ სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დისბალანსი, ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები, დასაქმების გენდერული პრობლემები, არაფორმალური დასაქმების მაღალი წილი, გრძელვადიან ანუ ქრონიკულ უმუშევრობას დაემატა დასაქმების კიდევ უფრო შეზღუდული შესაძლებლობები, უკვე არსებული

სამუშაო ადგილის დაკარგვის მაღალი რისკი, დასაქმებულთა უფლებების დარღვევა და ა. შ.

დასკვნა

სამწუხარო რეალობაა, რომ ქვეყნის მასშტაბით იმერეთი ითვლება სოციალურ დახმარებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ რეგიონად. სოციალურად დაუცველია არა მარტო დაუსაქმებელი, არამედ დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა, რადგან ანაზღაურება საკმაოდ დაბალია. ანალოგიური სიტუაციაა არა მარტო იმერეთში, არამედ მთელ ქვეყანაში. ხელფასის საკმარისობის სიდიდე განისაზღვრება მისი მსყიდველუნარიანობით. პოსტპანდემიური პერიოდი ფასების ზრდით და არასტაბილური ინფლაციური პროცესებით გამოირჩევა. დიდია როგორც შიგა, ასევე გარე ფაქტორების გავლენაც.

თითოეულ მათგანს კი სერიოზული და ღრმა ანალიზი ჭირდება. ბოლო პერიოდში ძალიან ხშირად ახსენებენ „ღირსეულ ხელფასს“, რომელიც ალბათ უახლოეს პერსპექტივაში კიდევ არ ექნება საქართველოში დასაქმებულთა საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს. ამ მხრივ კიდევ ერთხელ და სერიოზულ გადახედვას საჭიროებს მინიმალური ხელფასისა და სამომხმარებლო კალათის სიდიდე. დასაქმებულთათვის ნორმალური ანაზღაურების გაცემის მიზნით მთავრობამ უნდა მიიღოს კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ.

ცხოვრების დაბალი დონისა და სიღარიბის გამოვლენა არ უნდა იქცეს მთავარ მიზნად. მუდმივადსაუბარია პრობლემის დაფიქსირებაზე, გამოვლენაზე, მის პროცენტულ ზრდასა თუ კლებაზე. ნომინალური მაჩვენებლები ღრმა ანალიზის გარეშე საკმაოდ შორს არის რეალური მდგომარეობისგან. მთავარი და მნიშვნელოვანი მხლოდ გამოიწვევი მიზეზების დადგენა კი არ არის, არამედ მათთან ბრძოლა და მათი დროული აღმოფხვრა. პრობლემა კომპლექსურია და ის გადასაწყვეტია არა მარტო იმერეთში, არამედ მთელ ქვეყანაში. როდესაც საუბარია ევროინტეგრაციაზე, სხვა მრავალ საკითხთა შორის აუცილებელი და უმთავრესი საკითხი სწორედ მოსახლეობის შემოსავლების და ცხოვრების დონის სტანდარტების გადახედვა და ევროპულ ქვეყნებთან დაახლოება უნდა იყოს. მსოფლიოში შექმნილმა მდგომარეობამ კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა ადგილობრივი წარმოებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდის აუცილებლობა, რომლის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი თითოეული რეგიონის გაძლიერება და მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებაა.

ლიტერატურა:

1. ვირსალაძე ნ. ყიფიანი მ. (2021). პანდემია, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა. ეკონომიკური პროფილი, N21. DOI: <https://doi.org/1052244/ep.2021.21.05>
2. ინგოროყვა ვ. (2019) საქართველოს რეგიონები, თბილისი.

3. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2021-2014 წწ.

4. კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. (2017); სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - სამეწარმეო მობილიზაციის ეფექტური ფორმა. ბიზნეს ინჟინერინგი, №3, გვ.72. URL: <https://drive.google.com/file/d/1DaMoBmpC4lqEC9dGrO87ERCpII4WXZuX/view>

5. ჩიხლაძე ნ., (2021), რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები, ქუთაისის უნივერსიტეტი.

6. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მასალები (URL: www.geostat.ge)

7. ოქრუაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., მეტონიძე ლ., (2018) რეგიონული მართვა: პრობლემები და გადაჭრის გზები.

SOME ASPECTS OF THE SOCIO-ECONOMIC SITUATION OF IMERETI

Naira Virsaladze

Doctor of Economics, Associate Professor of Kutaisi University and Akaki Tsereteli State University, naira.virsaladze@atsu.edu.ge

Malvina Kipiani

Associate professor of Kutaisi University, mavlina.kipiani@unik.edu.ge

KEY WORDS: Imereti Region; agricultural zone; lack of income; migration; poverty

J.E.L. classification: R3; Q4 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.04>

For citation: Virsaladze N., Kipiani M., (2022) Some aspects of the socio-economic situation of Imereti (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 128–137. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.04>

Summary

The Covid pandemic and hostilities developed in the post-Soviet space had a heavy impact on the world economy, sharply slowing economic growth and

increasing socio-economic problems. The impact of current events has become a significant topic in terms of regional economies.

The rather rich experience accumulated in the world has shown us that the management and development of the region should be based on the economic potential of a particular country, the historical past of economic and political life, cultural and natural-resource characteristics, which are the result of historical preconditions. From this point of view, Georgia is quite diverse and interesting country.

This diversity and the rules and traditions of economic life formed on the basis of sharply different natural-economic conditions create the inequality of the state and trends of the development and competitiveness of the territorial-administrative units (parties) of the country.

Our attention was drawn to the fact that the Imereti region is distinguished by low incomes of the population, high rates of migration processes and aging and, accordingly, high dependence on social assistance.

Imereti region is located in the central part of Georgia, it is one of the most beautiful places. It occupies 9.4% of the territory of Georgia and unites 12 municipalities. Rather important positive factors of the region are: proximity to seaports and international airports, location on energy and automobile corridors, a high level of urbanization, a variety of minerals, favorable environmental conditions for the development of crops, various types of tourist and recreational resources.

The real result is that today the actual weakness of Imereti region is the high level of unemployment and poverty. Less developed municipal services, commercial and business infrastructure, low level of professional development and qualification of the workforce, absence of effective natural disaster management system, limited rights of regional and local administrative structures, meager income and property resources.

It is a fact that the region cannot effectively use the existing resources for the purpose of development. In order to strengthen agriculture and increase labor productivity, first of all small-land farms should be enlarged, which will contribute to the technical

rearmament of the sector and the intensification of production.

It is a sad reality that Imereti is considered a region significantly dependent on social assistance. Not only the unemployed, but also the majority of employed people are socially vulnerable, because the payment is quite low. A similar situation is a problem not only in Imereti, but in the entire country.

The post-pandemic period is characterized by price increases and unstable inflationary processes, the influence of both internal and external factors is great. Revealing the low standard of living and poverty should not become the main goal.

There is constant talk about identifying the problem, revealing it, its percentage increase or decrease. Nominal indicators without deep analysis are quite far from the real situation. The main and important thing is not only to determine the causes, but also to fight against them and eliminate them in time.

Enumeration and statistics workers and their economic-statistical studies should make a significant contribution to the assessment of the existing situation in the region and its further improvement.

The real socio-economic situation of the region should be reflected (and not in numbers artificially beautified to please ourselves), only by revealing the reality and seeing the existing weak points correctly, we will be able to improve the economy of both the region and the country and achieve the desired results. It is on the basis of real data that the further development strategy of the region, new projects and programs should be developed.

Recently, they often mention the “decent salary”, which probably a significant part of the employed people in Georgia will not have in the near future. In this regard, the minimum wage and the size of the consumer basket need to be reconsidered once again. In order to provide normal wages to the employees, the government should adopt a law on minimum wages.

When it comes to European integration, among many other issues, the most important and necessary issue is the review of the population’s incomes and living standards, and bringing them closer to the European countries should be the main goal.

Reference:

1. Virsaladze N., Kipiani M., (2021). Pandemic, Global economic crisis and the country's food supply. Economic Profile, N21. DOI: <https://doi.org/1052244/ep.2021.21.05>
2. Ingorokva P., (2019) Regions of Georgia, Tbilisi.
3. Strategy for Development of Imereti Region 2014-2021.
4. Koguashvili P., Chikhladze N., (2017). Agricultural cooperative- An effective form of entrepreneurial mobilization: Business engineering, №3, pg.72. URL: <https://drive.google.com/file/d/1DaMoBMpC4lqEC9dGrO87ERCpII4WXZuX/view>
5. Chikhladze N., (2021) Theoretical and practical approaches of regional economic policy, Kutaisi University.
6. Materials of the State Statistical Service of Georgia (URL: www.geostat.ge)
7. Okruashvili N., Pharesashvili N., Metonidze L., (2018) Regional Management Problems and Solutions.

ტურისტული ბიზნესის პოლიტიკა საქართველოში პოსტ-პანდემიურ პერიოდში

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, goderdzi.shanidze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: პოსტ-პანდემიური პერიოდი; ტურისტული ბიზნესი; ტურიზმის სტრატეგია; უცხოური ტურისტები; ტურისტული ბიზნესიდან შემოსავლები;

J.E.L. classification: L83, E59

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.08>

ციტირებისთვის: შანიძე გ., (2022) ტურისტული ბიზნესის პოლიტიკა საქართველოში პოსტ-პანდემიურ პერიოდში. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 138-144. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.08>

ანოტაცია. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ტურისტულ ბიზნესს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. ეკონომიკის სტატისტიკური მაჩვენებლები იმაზე მეტყველებს, რომ რა დროიდანაც მოიხსნა შეზღუდვები ტურისტულ ბიზნესში სექტორს აღმავლობა დაეცო და გაიზარდა, როგორც უცხოელი ტურისტებიდან შემოსავლები, ასევე მშპ-ში ტურიზმის წილი.

აღსანიშნავია, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ქვეყანაში მაღალ დაგახდისუნარიანი ტურისტების შემოყვანაზე და არა მხოლოდ ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. ასევე საყურადღებოა შიდა ტურიზმის სტიმულირების საკითხები. თუკი საქართველოში მოხდება გეგმაზომიერად ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა, დარგს ნამდვილად აქვს პერსპექტივა განვითარდეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

შესავალი

საქართველოში, ტურისტული ბიზნესი დღესაც, პანდემიის შემდგომ პერიოდში საკმაოდ აქტუალურია. ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდამ წარმოშვა პერსპექტივა იმისა, რომ ეკონომიკაში ტურისტული სექტორის წილი გაიზარდება, რაც საქართველოს

ტურიზმის სტრატეგიის 2025 წლის ხედვებს სრულად ემთხვევა. აქ საყურადღებოა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას და არა ვიზიტორთა რაოდენობას.

ძირითადი ნაწილი

ქვეყნის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, ტურისტული ბიზნესის განსანვითარებლად დასახული აქვს შემდეგი მიზნები:

➤ მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრებიდან საჭირო მგზავრობის გამარტივება, ასევე შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება, ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

➤ ქვეყნის უნიკალური კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით ამალღებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობების შექმნა.

➤ ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება, რათა გამართლდეს ქვეყნის შესახებ მიზნობრივი მარკეტინგული აქტივობების შედეგად ჩემოყალიბებული წარმოდგენები და ასევე ტურისტებს გაუჩნდეთ სურვილი იმისა, რომ განმეორებით ესტუმრონ ჩვენს ქვეყანას.

➤ ბაზრისკვლევა მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრების მოთხოვნებისა და თავისებურებების შესწავლის მიზნით.

➤ მაღალდაგახდისუნარიანი ტურისტული

ბაზრისათვის, საქართველოს, როგორც მსოფლიო დონის ტურისტული დანიშნულების ქვეყნის ცნობადობის ამაღლება. (ტურიზმის სტრატეგია, 2019:9).

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის 2025“ წლის გეგმაში, რომელიც შემუშავდა 2018 წელს და საბაზისო პერიოდად 2015 წელი არის აღებული, დასახულია, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა

უნდა მოხდეს (არსებული 1,9 მილიარდი აშშ დოლარიდან) - 6,6 მილიარდ აშშ დოლარამდე. მშპ-ში ტურიზმის დარგის წილი უნდა შეადგენდეს 7,9%-ს. ვიზიტორების მიერ საშუალო დანახარჯების თანხის გაზრდა არსებული 300 აშშ \$-დან 600 აშშ \$-მდე. ასევე ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის 7 დამემდე გაზრდა და დასვლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მადალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება.

ცხრილი 1

საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები

ინდიკატორი		2015 წელი	2025 წელი
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები		6,305,635	11,000,000
შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან		1.9 მლრდ. \$	6.6 მლრდ. \$
ტურიზმის წილი მშპ-ში		6.7%	7.9%
ვიზიტორის საშუალო დანახარჯი		300 \$	600 \$
გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა (დამე)		5	7
საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა	თურქეთის, უკრაინის, თურქმენეთისა და დსთ-ს ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	91%	70%
	სხვა ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	9%	30%

წყარო: საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_1_9385.pdf

ქვეყანაში ტურიზმის პრიორიტეტული აქტივობებია: ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა; ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება ვიზიტების რაოდენობის, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით; ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მადალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან, ასევე შიდა ტურიზმის სტიმულირება; კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით; ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით


ტურიზმში უნიკალური და ავთენტური შეთავაზებების შექმნა.

ქვეყნის ტურიზმის სექტორის წინსვლაში შიდა ტურიზმის განვითარებამ, დიდი მნიშვნელობა შეიძინა. არაერთი ღონისძიება განხორციელდა პანდემიის და შემდგომ პერიოდში შიდა ტურიზმის სტიმულირებისათვის.

2021 წლის შიდა ტურიზმის ჯამური ვიზიტების რაოდენობამ 16.9 მილიონი შეადგინა, რაც +35.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ასეთი მკვეთრი ზრდა იმითაც არის გამოწვეულია, რომ წინა წლებში

პანდემიურ პერიოდში ტურისტული სეზონები ჩავარდნილი იყო (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1



შიდა ვიზიტები 2021-2019 წლები (ათასი)

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99>


[%E1%83%90/](#)

შიდა ვიზიტორები მოგზაურობისას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობდნენ. შიდა მოგზაურების ყველაზე პოპულარულ აქტივობას

მეგობრების და ნათესავების მონახულება (68.7%), შოპინგი (54.8%) და ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება

წარმოადგენდა (38.5%) (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2



ტურიზმის პოპულარული აქტივობები, 2021 წელი

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <https://gnta.ge/ge/%E1%83%1A%1E%1>

[%83A%2E%90%83%1E%83%1A%2E%98%83%1E%83%1A%1E%83%1A%2E%98%83%1E99%83%1E90%83%1/](#)

დასვენების მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს შორის ყველაზე ხშირად მონახულებადი რეგიონები იყო: აჭარა (22.5%), მცხეთა-მთიანეთი (15.9%) და სამცხე-ჯავახეთი (15.6%). შიდა ვიზიტორებისათვის ყველაზე სასურველ ქალაქებს წარმოადგენდა: თბილისი (21.2%), ბათუმი (7.7%) და ქუთაისი (5.8%). (შიდა მოგზაურობა საქართველოში, 2021:3).

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2021 წელს საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან დაახლოებით 1,2 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 130 %-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 62 %-ით ჩამოუვარდება.

ტურიზმი საქართველოსთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. პანდემიამდელ პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა და შესაბამისად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად იზრდებოდა. ტურისტული

სფეროს აღდგენა კრიზისის გადალახვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ცხრილი 2

შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან (ათასი აშშ დოლარი)

	2019	2020	2021	2022*
სულ	3 268 654	541 687	1 244 942	2 517 184
მათ შორის:	↓	↓	↓	↓
I.კვ.	578 442	427 699	53 551	393 708
II.კვ.	877 626	28 842	246 123	748 822
III.კვ.	1 126 771	42 534	565 981	1 374 653
IV.კვ.	685 814	42 611	379 287	0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როდესაც ტურიზმის ბიზნესი პიკზე იყო, 2019 წელს, საქართველოს ეკონომიკამ ტურიზმიდან 3,2 მლრდ აშშ დოლარი შემოსავალი მიიღო. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკით 2019 წელს ტურიზმის წილმა მთლიანი მშპ-ის 8,4 % შეადგინა. შემოსავლები ტურიზმიდან, საქართველოს მსგავსი, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებსაც

განვითარებისთვის კაპიტალის დიდი ოდენობა ესაჭიროება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე ბოლო წლებში ტურიზმის სფეროდან მიღებული უცხოური ვალუტა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. პანდემიასთან დაკავშირებულ მკაცრ შეზღუდვებს, საერთაშორისო და შიდა ტურიზმის მკვეთრი შემცირება მოჰყვა.

ცხრილი 3

ტურიზმის წილი მშპ-ში (მლნ ლარი)

	2019	2020	2021
სულ	3 630	2 558	3 385
მათ შორის:	↓	↓	↓
სახმელეთო ტრანსპორტი და წყლის ტრანსპორტი	1 099	1 235	1 456
საჰაერო ტრანსპორტი	154	87	161
განთავსება	1 559	637	1 018

საკვებით და სასმელებით მომსახურება	664	568	707
ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები	154	32	43
საქართველოს მშპ საბაზისო ფასებში	43 138	43 137	52 603
ტურიზმის წილი მშპ-ში	8,4%	5,9%	6,4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პოსტ-პანდემიურ პერიოდში ტურიზმის განვითარებას საქართველოში ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში უდაოდ დიდი პერსპექტივა აქვს, რასაც მოწმობს ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემები. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2021 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 5,8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +21.7%) და ხელი შეუწყო 289 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1 %, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან. (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2021:3)

დასკვნები

1. იმ ქვეყნებიდან, საიდანაც შესაძლებელია მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოზიდვა ჩვენს ქვეყანაში, უნდა გამარტივდეს საჰაერო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა.
2. მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოსაზიდად საჭიროა დანიშნულების ადგილებისა და შესაბამისი ღონისძიებების სათანადოდ მოწყობა.
3. უნდა მოხდეს შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება, ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.
4. გასაუმჯობესებელია ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი, რათა ტურისტებს

განმეორებით კვლავ გაუჩნდეთ სურვილი იმისა, რომ იმოგზაურონ ჩვენს ქვეყანაში.

ლიტერატურა

1. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). URL: <https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf> (გადამოწმებულია 7.11.2022)
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“. URL: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9385_1.pdf (გადამოწმებულია 7.11.2022)
3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. „შიდა მოგზაურობა საქართველოში“ URL: <https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/> საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა (გადამოწმებულია 7.11.2022)
4. საქართველოს ეროვნული ბანკი URL: <https://nbg.gov.ge/media/news> (გადამოწმებულია 7.11.2022)
5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ეკონომიკური მაჩვენებლები URL: <https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90%e1%83%94%e1%83%92%e1%83%98%e1%83%90.pdf>

[e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/](#)
(გადამოწმებულია 7.11.2022)

6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2021. URL:https://gnta.ge/wp-content/uploads/2022/10/2021_GEO.pdf (გადამოწმებულია 7.11.2022)

POLICY OF TOURISM BUSINESS IN GEORGIA IN THE POST-PANDEMIC PERIOD

Goderdzi Shanidze

Doctor of Business and Management, Associate Professor of Kutaisi University and Akaki Tsereteli State University goderdzi.shanidze@unik.edu.ge

KEYWORDS: *post-pandemic period; tourism business; tourism strategy; foreign tourists; revenues from tourism business;*

J.E.L. classification: L83, E59 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.08>

For citation: Shanidze G., (2022) Policy of tourism business in georgia in the post-pandemic period (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 138–144. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.08>

Summary

In Georgia, even today, in the post-pandemic period, the tourism business is quite relevant. The increase in tourist flows in the country has given rise to the prospect that the share of the tourism sector in the economy will increase, which is fully in line with the 2025 vision of the Georgian Tourism Strategy. The point to note here is that more attention should be paid to the quality and variety of visitors rather than the quantity of visitors.

In the 2025 “Tourism Strategy of Georgia” plan, which was developed in previous years and 2015 is taken as the base period, it is planned that the income from tourism should increase (from the existing 1.9 billion US dollars) to 6.6 billion US dollars. The share of the tourism sector in the GDP should be 7.9%.

Increasing the average amount spent by visitors from the current \$300 to \$600. as well as increasing the average length of stay to 7 nights and doubling the number of visitors from the high-paying markets of Western Europe, Asia and North America.

Priority tourism activities in the country are: increasing state and private investments in the field of tourism; improvement of the business environment in order to promote the increase of the number of visits, foreign and local investments; attracting visitors from high-paying markets by means of effective marketing and information campaigns, as well as stimulating domestic tourism; Increasing competitiveness by offering world-class tourism services; Creating unique and authentic offers in tourism using natural and cultural heritage resources.

In the development of the country’s tourism sector, the development of domestic tourism has gained great importance in the recent period. A number of measures were implemented during the pandemic period and in the subsequent period to stimulate domestic tourism.

The total number of domestic tourism visits in 2021 amounted to 16.9 million, which is +35.8% more than in the same period of the previous year, such a sharp increase is also due to the fact that in previous years, the tourism seasons during the pandemic period were unsuccessful.

According to the data of the National Bank, in 2021, Georgia received approximately 1.2 billion USD from international travel, which is 130% higher than the 2020 figure, and 62% lower than the 2019 figure.

Tourism is a priority direction for Georgia. In the pre-pandemic period, the number of international visitors and, accordingly, the income from international travel increased every year. Restoring the tourism sector is an important precondition for overcoming the crisis.

In the post-pandemic period, the development of tourism in Georgia, as well as around the world, has an undeniably great perspective, as evidenced by the data of the World Tourism Council. The travel and tourism industry is one of the fastest growing service sectors in the world. According to the World Travel and Tourism Council (WTTC), in 2021, the contribution of this industry to the total GDP amounted to 5.8 trillion

USD (+21.7% growth compared to the previous year) and contributed to the creation of 289 million jobs. After taking into account its direct and side effects, the contribution of the mentioned sector to the development of the world economy is as follows: 6.1 % of the world GDP, one place for every 11 jobs.

From all of the above, we can conclude that: 1. from those countries, from which it is possible to attract high-paying tourists to our country, air and other means of transport should be simplified. 2. In order to attract high-paying tourists, it is necessary to properly arrange destinations and relevant events. 3. Internal transport networks should be improved to ensure free movement of visitor flows in the country. 4. It is also necessary to improve the quality of visitor services, so that tourists will have the desire to travel to our country again and again.

References:

1. “Georgian Tourism Strategy 2025” (National Tourism Administration of Georgia; Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia) URL:<https://gnta.ge/ge/publication/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0/> (updated on 7.11.2022)
2. National Tourism Administration of Georgia; Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. “Georgian Tourism Strategy 2025”. URL:https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9385_1.pdf (updated on 7.11.2022)
3. National Tourism Administration of Georgia. “Domestic travel in Georgia” URL:<https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90/>

[A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/](https://nbgsurvey.com/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/) International Visitors Survey (updated on 7.11.2022)

4. National Bank of Georgia URL:<https://nbg.gov.ge/media/news> (updated on 7.11.2022)


5. National Tourism Administration of Georgia. Economic data URL:<https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/> (updated on 7.11.2022)

6. National Tourism Administration of Georgia. Statistical overview of Georgian tourism in 2021. URL:<https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/>

გამოხმაურება ახალ წიგნებზე

RESPONSE TO NEW BOOKS

გამოხმაურება



ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის თეონა გრიგოლაშვილის ნაშრომზე „საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მეთოდოლოგიური საფუძვლები“

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, თეონა გრიგოლაშვილმა გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მეთოდოლოგიური საფუძვლები“ (გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2022, -174 გვერდი, ISBN 978-9941-8-4627-4)

ნაშრომის აქტუალობა ექვზარეშა. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში არსებული, ფულის მიმოქცევა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს და იმყოფება როგორც ხელისუფლების, ასევე მეცნიერ-მკვლევართა მუდმივი ყურადღების ცენტრში. როგორც წესი, კლასიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზების

ტრადიციული სქემა: ამოცანების, მეთოდების და ინსტრუმენტების ჩამონათვალი, რომლითაც ცენტრალური ბანკი ახდენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების რეალიზებას.

ამასთან, ხშირად განხილვის მიღმა რჩება, თუ როგორ ხდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამა თუ იმ მექანიზმის ეფექტიანი გამოყენება გარე შოკების და ეროვნული ეკონომიკის საბაზრო მექანიზმის თვითრეგულირების განუვითარებლობის პირობებში და ამ ფონზე რამდენად არის შესაძლებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრადიციული მეთოდებით მისი ეფექტიანობის ამაღლება.

მონეტარული ხელისუფლების მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებისა და მათი განხორციელების ინსტრუმენტებს შორის წყვეტა აფერხებს როგორც საბანკო სექტორის, ასევე მთლიანად ეკონომიკის ევოლუციური პროცესის განვითარებას. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმალურად გამოყენებადი მეთოდები ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო ხშირად ატარებენ დისკრეციულ ხასიათს. კერძოდ, ამა თუ იმ მეთოდის ან ინსტრუმენტის არასწორი შეფასება იწვევს ანალოგიურ ნეგატიურ შედეგს. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეთოდების ყოველმხრივი ანალიზი, არამედ ახალი მეთოდების შემუშავება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს საბანკო სისტემის ევოლუცია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თანდათანობითი გარდაქმნის პროცესს. საქართველოს ეკონომიკის ზრდისა და მისი სხვადასხვა სექტორის განვითარების დაბალანსების თვალსაზრისით

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესწავლა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ეს იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ცხადია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები, ზოგადად მისი გატარების მეთოდოლოგია უნდა უზრუნველყოფდეს ეფექტიან საპროცენტო პოლიტიკას და ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის მეშვეობით გავლენა მოახდინოს ეკონომიკის არასაფინანსო სექტორში მიმდინარე პროცესებზე.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომი დიდ სარგებლობას მოუტანს ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებსა და ინსტიტუტებს.

ნიკოლოზ ჩიხლაძე,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისი უნივერსიტეტის პროფესორი

REVIEW OF ASSOCIATED PROFESSORS TEONA GRIGOLASHVILI'S MONOGRAPH "METHODOLOGICAL BASICS TO PERFECTION GEORGIAN MONETARY POLICY"

In accordance with the country's development, money turnover is the main topic of scientists and the government's attention. As a rule, classical scientific literature shows the traditional scheme of monetary policy: a list of objectives, methods and instruments by which the central bank conducts monetary policy. Beyond discussion remains the effectiveness of monetary policy tools during undeveloped self-regulation of the market economy, and in the given condition how is possible to maintain the country's economic growth using traditional monetary policy methods.

The gap between monetary policy targets and tools interrupts not only the development of the banking sector but the process of economic development. Methods which are formally used by the government have discretionary character. To specify incorrect evaluation of methods and tools causes negative consequences. It is important to analyze monetary policy conduction methods to receive determined meaning for the effective functioning of developing economics.

The evolution of the Georgian banking system represents the process of gradual transformation of the national bank's monetary policy. Studying NBG's (National Bank of Georgia) monetary policy is important for the economic growth and development of other economic sectors in Georgia. Monetary policy takes a significant place in economic policy. It is obvious, that, tools of monetary policy and the methodology of their conduction, should provide effective interest rate policy, and influence the nonfinancial sector of economics, by interbank credit market.

The book will be of great service to students, field specialists and researchers, and public sector representatives. We believe that it would be a good purchase for the general readership interested in monetary policy studies.

Nikoloz Chikhladze,

Doctor of Economic Sciences, Professor
Kutaisi University

გამოხმაურება



ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორის იოსებ არჩვაძის და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორის ლია ქურხულის ნაშრომზე „ეკონომიკური ფსიქოლოგია“

პროფესორებმა იოსებ არჩვაძემ და ლია ქურხულმა გამოსცეს ნაშრომი „ეკონომიკური ფსიქოლოგია“ („მწიგნობარი“, 2022 წ., თბილისი, -326 გვ.), რომელიც ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს.

ეკონომისტებსა და ფსიქოლოგებში დიდი ხანია არსებობს თანხვედრა შეხედულებისა, რომ ეკონომიკას ფსიქოლოგიის გარეშე უნარი არ შეეწევს წარმატებით გაართვას თავი ეკონომიკური პროცესების შესწავლას, ისევე, როგორც ფსიქოლოგიას არ შეუძლია ეკონომიკის გარეშე იკვლიოს ადამიანური ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკაში ზუსტად იმდენია ეკონომიკური, რამდენიც ფსიქოლოგიური.

ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ინტერესები ტრადიციულად ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან – როგორც ერთი, ისე მეორე, ადამიანთა ქცევის საკითხებს სწავლობს. ამ კუთხით ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მიდგომებს ეკონომიკური კვლევები ახალ საფეხურზე აყავთ, ახალ თვისობრიობას სძენენ მათ.

ეკონომიკის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოთი სარგებლობა ყველაზე მეტად გაუადვილებათ მათ, ვინც უკვე ფლობს ეკონომიკური თეორიისა და განვითარების ფსიქოლოგიის საბაზო ცნებებს და კატეგორიებს. ავტორები ცდილობდნენ მაქსიმალურად გასაგები და გამოყენებადი გაეხადათ სახელმძღვანელოს ტექსტი. წინა გამოცემასთან შედარებით, აღნიშნული ვარიანტი მნიშვნელოვნადაა გადამუშავებული, დამატებულია რამდენიმე თავი. სახელმძღვანელო, ასევე, შეივსო თემატიკის შესაბამისი უახლესი, მათ შორის სტატისტიკური ინფორმაციით. ყოველი თავის ბოლოში გამოტანილია ძირითადი საკვანძო სიტყვები და საკონტროლო კითხვები, მოტანილია შესაბამისი პროფილის ტესტები და სავარჯიშოები, რაც მთლიანობაში შესაძლებლობას აძლევს მკითხველს არა მარტო სრულყოფილად გაეცნოს და აითვისოს აღნიშნული მასალა, არამედ ეფექტიანად გამოიყენოს თავის ყოველდღიურ ყოფასა თუ ბიზნეს-საქმიანობაში.

აღნიშნულისა და მისი მზარდი შემეცნებითი და გამოყენებითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის ფსიქოლოგია, ოცდამეერთე საუკუნის სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინაა. მისი შესწავლა საინტერესო და გამოყენებადი უნდა იყოს არა მარტო ეკონომიკური და ფსიქოლოგიური პროფილის სტუდენტებისა და აკადემიური

პერსონალის, არამედ მომხმარებელთა გაცილებით ფართო წრის – სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობით დაკავებული ადამიანების, ბიზნესმენების, სახელმწიფო მოხელეებისა და მას-მედიის წარმომადგენლებისათვის.

გოჩა თუთბერიძე
ეკონომიკის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

Review

To the textbook “Economic Psychology” by professor of Kutaisi University Joseph Archvadze and professor of Georgian National University Lia Kurkhuli

Professors Joseph Archvadze and Lia Kurkhuli published the textbook “Economic Psychology” (Tbilisi, “Mtsignobari”, 2022. - 328 p. - in Georgian), which deserves special attention.

There has long been a common understanding between economists and psychologists that without psychology, economics will not be able to successfully cope with the study of economic processes, just as psychology will not be able to successfully cope with the study of the most important aspects of human behavior. It can be said that there is as much economic aspects in economy, as there is psychological aspects. The interests of economics and psychology traditionally stand side by side, for both study questions of human behavior. From this point of view, economic and psychological approaches are elevated to a new level, giving them a new quality.

Using the textbook on economic psychology is most easy for those who already know the basic concepts of economic theory and developmental psychology. The authors of the textbook tried to present all the material in the most accessible and understandable text, thus increasing its cognitive and applied value. Unlike the previous edition, the proposed version is seriously revised, several new chapters have been added to it. The textbook is also supplemented with the latest relevant statistical information. At the end of each chapter, key words and control questions, as well as tests and exercises of the corresponding profile are given, which, ultimately, give the reader the opportunity not only to fully familiarize and master the specified material, but also to use it effectively in their daily life and business activities.

Taking into account all of the above and the increasing cognitive and applied significance of economic psychology, we are sure that it is a scientific and educational discipline of the twenty-first century. Its study should be interesting and applicable not only for students and academic staff of an economic and psychological profile, but also for a wider range of consumers - people involved in scientific and academic activities, businessmen, government officials and representatives of the media.

Gocha Tutberidze
Doctor of Economics, Professor of European University